გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი
THE CENTRE OF STUDY AND PREDICTION OF CRIME

კრიმინოლოგი
CRIMINOLOGIST
1(5)

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან
JOURNAL HAS BEEN ISSUED SINCE 2007

საქართველო. თბილისი
GEORGIA. TBILISI

2010

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

კრიმინოლოგი

1(5)

ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან

ეძღვნება დანაშაულობისა კვლევისა და პროგნოზირების და საერთაშორისო იურიდიული ცენტრის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ განხორციებულ პროექტს:
კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში

Университет имени Григола Робакидзе
Центр Исследования и Прогнозирования Преступности

Научно-практический журнал

Криминолог

1(5)

Журнал выходит с 2007 года

посвящается проекту Центра Исследования и прогнозирования преступности, международного юридического центра и Университета имени Григола Робакидзе:
Криминология в развитии общество

Grigol Robakidze University
The Centre of Study and Prediction of Crime

scientific-practical journal

Criminologist

1 (5)

Journal has been issued since 2007

Dedicated to the project carried out by The Centre of Study and Prediction of Crime, International Juridical Centre and The Grigol Robakidze University:
“Criminology in the development of society”

თბილისი – Тбилиси – Tbilisi
2010

წინასიტყვაობა ჟურნალ "კრიმინოლოგის" მეხუთე გამოცემისთვის

ძვირფასო მკითხველო, 2010 წლის მაისიდან საქართველოს დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, საერთაშორისო იურიდიული ცენტრი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ჟურნალ "კრიმინოლოგის" ინიციატივით ახორციელებს პროექტს: "კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში".

2010 წლის მაისს გაიმართა მრგვალი მაგიდის სხდომა: "კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში," რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი მალხაზ ბაძაღუა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე.

მოხსენებები წარმოდგენილ იქნა შემდეგ მონაწილეთა მიერ: მალხაზ ბაძაღუა – გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალ "კრიმინოლოგის" მთავარი რედაქტორი; გიორგი თოდრია – თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი. ჟურნალ "კრიმინოლოგის" სარედაქციო კოლეგიის წევრი; ჯემალ ჯანაშია – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ჟურნალ "კრიმინოლოგის" სარედაქციო კოლეგიის წევრი; ალექსანდრე კვაშილავა – საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის და გორის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი; ცირა ჭანტურია – ციხის რეფორმის საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონალური დირექტორი, ჟურნალ "კრიმინოლოგის" სარედაქციო კოლეგიის წევრი; პეტრე დაუთაშვილი – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; მარინე შაქარაშვილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; მიხეილ ბაძაღუა – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საერთაშორისო იურიდიული ცენტრის დირექტორი, ჟურნალ "კრიმინოლოგის" აღმასრულებელი რედაქტორი; სოფიო ასანიძე – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი; რუსუდან ვარსიმაშვილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი; მიხეილ გაბუნია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დოქტორანტი, "დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის" წევრი.

აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების მასალები.

პროფესორმა მალხაზ ბაძაღუამ თავის მოხსენებაში მრგვალი მაგიდის მონაწილეებს გააცნო ცენტრის მიერ ანკეტირების მეთოდით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის "კრიმინოლოგიის ადგილი და როლი საზოგადოების განვითარებაში" შედეგები.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს თადარიგის გენერალ-ლეიტენანტმა, პროფესორმა ჯემალ გახოკიძემ, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტმა გურამ გვეტაძემ, პროფესორმა გიორგი ღლონტმა და სამართლის დოქტორმა რამაზ ბერიძემ.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა აქტიური თანამშრომლობისთვის და ჟურნალ "კრიმინოლოგის" სარედაქციო კოლეგიის წევრს, სამართლის დოქტორ რამაზ ბერიძეს გადასცა უნივერსიტეტის სრული პროფესორის ატესტატი.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები და შეიმუშავეს წინადადებები ექსპერტ-კრიმინოლოგთა საბჭოს შექმნის თაობაზე – გიორგი ღლონტის, გიორგი თოდრიას, გურამ გვეტაძის, ჯემალ ჯანაშიას, ჯემალ გახოკიძის, ალექსანდრე კვაშილავას, პეტრე დაუთაშვილის შემადგენლობით.

სარედაქციო კოლეგია:

მალხაზ ბაძაღუა – მთავარი რედაქტორი

მამუკა თავხელიძე

რომან შენგელია

ოთარ კვაჭაძე

კრის ესკრიჯი – აშშ

რამაზ ბერიძე – აშშ

მიხეილ ბაძაღუა – აღმასრულებელი რედაქტორი

ჯემალ ჯანაშია

ცირა ჭანტურია

გიორგი ღლონტი

გიორგი თოდრია

© გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

© დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

რედაქციის მისამართი : ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6.
criminologist@cspc.org.ge

Предисловие к пятому номеру журнала «Криминолог»

Дорогие читатели, с мая 2010 года, университет имени Григола Робакидзе центр исследования и прогнозирования преступности и международный юридический центр, по инициативе журнала “криминолог” осуществляет проект: “Криминология в развитии общества”.

Круглый стол “Криминология в развитии общества”, который состоялся 11 мая 2010 года, руководили: Малхаз Бадзагуа - автор и руководитель проекта, директор центра исследования и прогнозирования преступности, профессор; Мамука Тавхелидзе – профессор, ректор университета им. Григола Робакидзе.

Доклады были представлены следующими участниками: Малхаз Бадзагуа – директор центра исследования и прогнозирования преступности, профессор, Главный редактор журнала “Криминолог”; Гиоргий Тодриа - институт государство и права имени Тинатин Церетели, профессор юридического факультета государственного университета экономических отношений, член редакционного совета журнала “криминолог”; Джемал Джанашия – профессор университета имени Григола Робакидзе, член редакционного совета журнала “криминолог”; Александр Квашилава - профессор гуманитарно-экономического университета Грузии и Горийского университета; Цира Чантурия - директор международной организации тюремных реформ, член редакционного совета журнала “криминолог”; Петре Дауташвили - профессор университета имени Давида Агмашенебели и университета имени Григола Робакидзе; Марине Шакаришвили – профессор университета имени Григола Робакидзе и Государственного Университета Тбилиси имени Ивана Джавахишвили; Михеил Бадзагуа - докторант юридического факультета университета имени Григола Робакидзе, директор “международного юридического центра”, исполнительный редактор журнала “криминолог”; София Асанидзе - докторант юридического факультета университета имени Григола Робакидзе; Русудан Варсимашвили - докторант юридического факультета университета имени Григола Робакидзе; Михеил Габуниа - докторант технического университета гуманитарно-социологического факультета, член центра исследования и прогнозирования преступности;

В данном журнале опубликованы материалы вышеупомянутого проекта.

В своем докладе профессор Малхаз Бадзагуа участником круглого стола представил данные полученные центром путем социологического опроса проведенный методом анкетирования по теме "место и роль криминологии в развитии общества”.

В дискуссии принимали участия: генерал-лейтенант в отставке, профессор Джемал Гахокидзе, генерал-лейтенант в отставке Гурам Гветадзе, профессор Гиоргий Глонти и доктор права Рамаз Беридзе.

Ректор университета Мамука Тавхелидзе участникам круглого стола выразил благодарность за активное сотрудничество и члену редакционного совета журнала “криминолог”, доктору права Рамазу Беридзе передал аттестат профессора университета.

Участники приняли и разработали рекомендации по созданию группы экспертов-криминологов в составе Гиоргий Глонти, Гиоргий Тодриа, Гурам Гветадзе, Джемал Джанашия, Джемал Гахокидзе, Александра Квашилава и Петре Дауташвили.

Редакционный совет:

Малхаз Бадзагуа – Главный редактор

Мамука Тавхелидзе

Роман Шенгелия

Отар Квачадзе

Крис Эскридж - США

Рамаз Беридзе – США

Михеил Бадзагуа — исполнительный редактор

Джемал Джанашия

Цира Чантурия

Гиоргий Глонти

Гиоргий Тодрия

© Университет им. Григола Робакидзе
© Центр исследования и прогнозирования преступности
Адрес редакции: Тбилиси, ул. Джано Багратиони №6
criminologist@cspc.org.ge

Preface to the fifth issue of the journal "Criminology"

Dear Readers, since May 2010, The Centre of Study and Prediction of Crime, Grigol Robakidze University and International Juridical Center, on initiative of the journal "criminologist," carry out project: "Criminology in the Development of Society."

On May 11, 2010, took place Roundtable that was led by Professor Malkhaz Badzagua – the author and project manager, director of The Centre of Study and Prediction of Crime and Professor Mamuka Tavkhelidze - Rector of the Grigol Robakidze University.

Papers were presented by the following participants: Malkhaz Badzagua – Director of The Centre of Study and Prediction of Crime, Professor, Chief Editor of "criminologist"; Georgi Todria - Tinatin Tsereteli Institute of State and Law, Professor of the Faculty of Law an the State University of Economic Relations, member of the Editorial Board of "criminologist"; Jemal Janashia - Professor at the Grigol Robakidze University, member of the Editorial Board of the "criminologist"; Alexander Kvashilava - Professor at the "Humanities and Economics University of Georgia" and University of Gory; Tsira Chanturia - Executive Director of an international organization of prison reform, member of the Editorial Board of the "criminologist"; Peter Dautashvili - Professor at the David Agmashenebeli and Grigol Robakidze University; Marina Shakarishvili - Professor an the Grigol Robakidze University and Ivan Javakhishvili Tbilisi State University; Mikheil Badzagua – working for doctors degree at the Faculty of Law Robakidze University, director of the International Juridical Center, executive editor of the "criminologist"; Sofia Asanidze - working for doctors degree at the Faculty of Law Robakidze University; Rusudan Varsimashvili - working for doctors degree at the Faculty of Law Robakidze University; Mikheil Gabunia - working for doctors degree at the faculty of Humanities and Sociology of Technical University, member of The Centre of Study and Prediction of Crime.

In the journal are published reports and materials of the project.

Professor Malhaz Badzagua, in his report, presented to the roundtable participants, data obtained by sociological survey on "the place and role of criminology in the development of society."

In the discussion also participated: Lieutenant-General in retire, Professor Jemal Gakhokidze, Lieutenant General in retire Guram Gvetadze, Professor George Glonti and JD Ramaz Beridze.

Rector of the University Mamuka Tavkhelidze expressed gratitude to the round table participants for the active cooperation and handed a certificate of the University professor to a member of the Editorial Board of "criminologist," JD. Ramaz Beridze.

Participants of the project presented various recommendations and came to the idea for a creation of the group of expert criminologists consisting of following members: Glonti Georgi, Georgi Todria, Guram Gvetadze Jemal Janashia, Jemal Gakhokidze, Alexander Kvashilava and Peter Dautashvili.

Editorial council:

Malkhaz Badzagua – Chief Editor
Roman Shengelia
Chris Eskridge – USA
Mikheil Badzagua - Executive Editor
Georgi Glonti
Mamuka Tavkhelidze
Otar Kvachadze
Ramaz Beridze - USA
Jemal Janashia
Georgi Todria

©Grigol Robakidze University
©The Centre of Study and Prediction of Crime
Address of te publication-house: Tbilisi, 6 Jano Bagrationi street
criminologist@cspc.org.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა ჟურნალ "კრიმინოლოგის" მეხუთე გამოცემისთვის ----------3

მალხაზ ბაძაღუა
დანაშაულობა და კრიმინოლოგია თანამედროვე საზოგადოებაში----------11

გიორგი თოდრია
სამართალი და კრიმინოლოგიური აზროვნება ----------18

ჯემალ ჯანაშია
კრიმინოლოგიური კვლევების როლი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში ----------22

ალექსანდრე კვაშილავა
კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლის აუცილებელი მეცნიერება ----------29

პეტრე დაუთაშვილი
კრიმინოლოგიის თანამედროვე პრობლემები სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში----------33

მარინე შაქარიშვილი, ქეთევან შავგულიძე
დამნაშავის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი----------38

მიხეილ ბაძაღუა
საზოგადოებრივი აზრი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ---------44

სოფიო ასანიძე
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ზოგიერთი აქტუალური საკითხები შიდაეროვნულ და საერთაშორისო დონეზე----------47

რუსუდან ვარსიმაშვილი
საზოგადოებრივი აზრის გავლენა კრიმინოლოგიის ისტორიის განვითარებაზე ----------51

მიხეილ გაბუნია
დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა ----------55

რომან ჯახიაშვილი
კრიმინოლოგიური ხედვები კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში----------59

მგვალი მაგიდის - "კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში"- დასკვნითი რეკომენდაციები----------63

ჩვენი მილოცვები----------65

საქართველოს შსს 2009 წლის რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა ----------67

Содержание

Предисловие к пятому номеру журнала “Криминолог”----------5

Малхаз Бадзагуа
Преступность и криминология в современном обществе----------11

Гиоргий Тодрия
Право и криминологическое мышление ----------18

Джемал Джанашия
Роль криминологических исследований в решении региональных проблем ----------22

Александр Квашилава
Криминология - обязательное наука для борьбы с преступностью----------29

Петре Дауташвили
Современные проблемы криминологии в работе правоохранительных органов ----------33

Марина Шакарашвили, Кетеван Шавгулидзе
Психофизиологические особенности преступника----------38

Михеил Бадзагуа
Общественное мнение о торговле людьми - о трефикинге ----------44

София Асанидзе
Отдельные вопросы по легализации доходов преобретенных незаконным путем на международном и внутринациональном уровне----------47

Русудан Варсимашвили
Влияние общественного мнения в развитии истории криминологии ----------51

Михеил Габуниа
Суть и значение политики социального контроля над преступностью ----------55

Роман Джахиашвили
Криминологические аспекты борьбы с компьтерной преступностью----------59

Заключительные рекомендации круглого стола «Криминология в развитии общества»----------63

Наши поздравления----------65

Статистика преступности за 2009 год министерства внутренних дел Грузии----------67

Content

Preface to the fifth issue of the journal "Criminology"----------7

Malkhaz Badzagua
Crime and criminology in contemporary society ----------11

Georgi Todria
Law and criminological thinking----------18

Jemal Janashia
The role of criminological researches in solving regional problems----------22

Alexander Kvashilava
Criminology, as a mandatory science to fight crime ----------29

Petre Dautashvili
Modern Problems of Criminology in society and in activities of law enforcement agencies ----------33

Marina Shakarashvili, Ketevan Shavgulidze
Psychophysiological features of the offender ----------38

Mikheil Badzagua
Public Opinion about Human Trafficking ----------44

Sopio Asanidze
Particular Issues of Money Laundering on International and National Level ----------47

Rusudan Varsimashvili
Influence of the public opinion on the historical development of the Criminology ----------51

Mikheil Gabunia
The essence and value of the policy of social control over crime ----------55

Roman Jakhiashvili
Criminological aspects of the fight against computer-crime ----------59

Concluding recommendations of the roundtable "Criminology in the Development of Society”----------64

Our Congratulations ----------66

Statistical data of registered crimes committed in Georgia in 2009, according to the Ministry of internal affairs of Georgia ----------67

მალხაზ ბაძაღუა

დანაშაულობა და კრიმინოლოგია თანამედროვე საზოგადოებაში

21-ე საუკუნე საქართველოში დანაშაულობის მდგომარეობის გაუარესებით დაიწყო, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით. ყოველივე ეს სათანადოდ აისახა სამოქალაქო საზოგადოებაზე, მის დამოკიდებულებაზე იმჟამინდელი ხელისუფლების მიმართ. შედეგმაც არ დააყოვნა 2003 წლის არშემდგარი საპარლამენტო არჩევნები - „ვარდების რევოლუცია" და ხელისუფლების შეცვლა.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით 2004 წელს შეისწავლა 2002-2003 წლებში ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური ვითარება, დანაშაულის მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე (იურისდიქციის ფარგლებში) 2003 წელს ლატენტურმა დანაშაულმა პიკს მიაღწია, მიუხედავად ამისა, რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობა 2002 წელთან შედარებით 739 ერთეულით მოიმატა და 17397 შეადგინა, რომელთგანაც გაიხსნა 13329 დანაშაული ანუ გახსნის მაჩვენებელმა 76.6% შეადგინა. საერთო დანაშაულის ზრდასთან ერთად ადგილი ჰქონდა წინა წლებთან შედარებით მისი გახსნის მაჩვენებლის 7%-ით კლებას.

განსაკუთრებით საგანგაშო იყო ის ფაქტი, რომ საერთო დანაშაულის რაოდენობითი ზრდა ძირითადად მძიმე, (258 ერთეულით) და განსაკუთრებით მძიმე (410 ერთეულით) დანაშაულზე მოდიოდა. ამავდროულად აღინიშნებოდა საერთო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელთა კლება – მძიმე დანაშაულის 7.1%-ით და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის 10%-ით რაც მიუთითებს საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან სუსტ ადმინისტრირებაზე, სამართლებრივი და მართლმსაჯულების სისტემების უმოქმედობაზე, რომლის ძირითადი მიზეზი ამ სტრუქტურების თანამშრომელთა დაბალი ანაზღაურება შესაბამისად კორუფცია, დაბალი კვალიფიკაცია – არაპროფესიონალიზმი იყო. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2004 წლიდან, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 1617 სხვადასხვა რანგის საჯარო მოხელე იქნა გასამართლებული, რომელთაგან 1225 მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სხვადასხვა სიმძიმის (839 მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულისათვის, მათ შორის მინისტრები, მოსამართლეები, მერები, პროკურორები, მაღალი რანგის პოლიციელები, საბაჟო მოხელეები და სხვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად დანაშაულებრივი სამყარო იერარქიულად გამტკიცდა და მყარ ორგანიზებულ ძალებად ჩამოყალიბდა. გაძლიერდა ე.წ. „კანონიერი ქურდების" ინსტიტუტი, რომელთაც დასაყრდენი ქონდათ როგორც ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში, სამართალდამცავ-სასჯელაღსრულების სტრუქტურებში, ისე – საზოგადოების სხვადასხვა ფენაში.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ აღებულმა კურსმა ქვეყანაში არსებული მემკვიდრეობის გათვალისწინებით დაიწყო უმთავრესი ფუნქციების შესრულება, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესება. ამ გზაზე იყო სიძნელეები და წარმატებული ნაბიჯები. შეიქმნა დანაშაულის მდგომარეობის რეალური სურათი, რამაც ოფიციალურ სტატისტიკაზე და რაც მთავარია დანაშაულობის ლატენტურობაზე იმოქმედა.

2008-2009 წლების დანაშაულობის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს რომ 2009 წელს რეგისტრირებულ დანაშაულის საერთო რაოდენობა 2008 წელთან შედარებით 8695 ერთეულით ანუ 19.5% შემცირდა და 35949 შეადგინა. რომელთგან გახსნილია 17659 დანაშაული ანუ 49.1% დადებითია ის ფაქტი, რომ შემცირება ძირითადად მძიმე 54.9%-ი (1935 ერთეული) და განსაკუთრებულად მძიმე 40%-ი (17 ერთეული) დანაშაულობებზე მოდის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მდგომარეობა, რომელიც 2008 წელს 2009 წელთან შედარებით 164 ერთეულით ანუ 21.69%-ით შემცირდა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2006-2009 წლებში საერთოდ არ არის დაფიქსირებული ბანდიტიზმის, ხოლო 2007-2008 წლებში ავტომანქანის დაუფლების შემთხვევა.

ამასთან ერთად არის პრობლემები ზოგიერთი სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში კერძოდ, 2008 წელთან შედარებით 2009 წელს დანაშაულის ზრდა პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს; - მძევლად ხელში ჩაგდება გაიზარდა 285.7%-ით ანუ 20 ერთეულით (2008 წელი – 7); - გადასახადის თავიდან არიდება 250%-ით ანუ 95 ერთეულით (2008 წელი – 38); - საბაჟო წესების დარღვევა მათ შორის მძიმე 146.2%-ით ანუ 19 ერთეულით (2008 წელი – 13); - მექრთამეობა 112%-ით ანუ 56 ერთეულით (2008 წელი – 50); - ფალსიფიკაცია 94.1%-ით ანუ 16 ერთეულით (2008 წელი – 17); - ნარკოტიკების რეალიზაცია 65.8%-ით ანუ 52 ერთეულით (2008 წელი – 79); - ნარკოტიკების შემოტანა მცენარეთა უკანონო დათესვა გაიზარდა 61.4%-ით ანუ 43 ერთეულით (2008 წლი – 70); - ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვა მათ შორის მძიმე 17.8%-ით ანუ 374 ერთეულით (2008 წელი -2103); - ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის დამზადება, გასაღება 42.6%-ით ანუ 29 ერთეული (2008 წელი – 68) და სხვა.

საქართველოს ისტორიაში წარმოდგენა დანაშაულობის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს. თუმცა კრიმინოლოგიური მეცნიერებისა და განათლების სისტემის მართვა, სამართლის სფეროს სტრუქტურებთან ერთობლიობაში საუკუნეების მანძილზე რუსეთის იმპერიის პრეროგატივა იყო და ამ კუთხით საქმიანობამ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში განსაკუთრებით მე-20-ე საუკუნის 70-იან წლებში განვითარდა უპირატესად ცალკეულ მეცნიერ-სამართალმცოდნე-კრიმინოლოგების მეშვეობით მომზადდა და დაცული იქნა ათობით სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები, ხოლო 90-იანი წლებიდან საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით განხორციელდა მრავალი პროექტი კრიმინოლოგიურ პრობლემატიკაზე.

“კრიმინოლოგიაში” მომზადდა და გამოიცა რამოდენიმე სახელმძღვანელო, 1995 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, ა.წ. გარდაცვლილ პროფესორ რევაზ ჭოღოშვილის ავტორობით; 1998 წელს სამართლის დოქტორ ირაკლი გოძიაშვილის ავტორობით; 2002 წელს ა.წ. გარდაცვლილ პროფესორ ზაურ წულაიას ავტორობით; 2008 წელს თინათინ წერეთლის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტში ავტორთა კოლექტივის მიერ და სხვა.

ამავე პერიოდში განხორციელდა კრიმინოლოგიური კვლევები სხადასხვა მიმართულებებით პროფესორების: ანზორ გაბიანის, გიორგი თოდრიას, გიორგი ღლონტის, ჯემალ ჯანაშიას, მალხაზ ბაძაღუას, ჯემალ გაბელიას, ა.წ გარდაცვლილი მეცნიერების ნიბლია უგრეხელიძის, სოსო პაჭკორიას და სხვათა მიერ.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ხორციელდებოდა ქვეყანაში მოქმედ სხვადასხვა კრიმინოლოგიურ ორგანიზაციებში:

1. სამეცნიერო კვლევითი მიმართულების ორგანიზაციები:

   – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილება.

   – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დანაშაულის სოციოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია.

2. სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციები:

   – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა;

   – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა.

3. სამეცნიერო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები:

   – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი;

   – სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი;

   – დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი.

აღნიშნულ ორგანიზაციათა ისტორიას დაინტერესების შემთხვევაში გაეცნობით პროფესორ ანზორ გაბიანის შრომაში „თანამედროვე კრიმინოლოგიის განვითარების შესახებ საბჭოთა საქართველოში”კრებულში „თანამედროვე სისხლის სამართლის, კრიმინოლოგის და სისხლის სამართლის პროცესის განვითარების აქტუალური საკითხები” თბილისი 1986 წელი გვერდი 150-156 და ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ წიგნში „კრიმინოლოგია და

სამართალდამცავი სისტემა აშშ და საქართველო" თბილისი 2003 წელი გვერდი 172-196.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ამ მიმართულებით ყოველგვარი მეთოდოლოგიური საფუძვლების გარეშე აღმოჩნდნენ, დღეს ნათლად სჩანს, რომ მიუხედავად ხელისუფლების მხარდაჭერით სამართალდამცავი სტრუქტურების აქტიური საქმიანობისა მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის, ურთიერთთანამშრომლობის ტრადიციების არარსებობის გამო, გართულებულია პრაქტიკული საქმიანობის თეორიული ბაზით უზრუნველყოფა, რაც თავის გავლენას ახდენს კრიმინოლოგიის და ზოგადად სამართლის მეცნიერებების და მასთან დაკავშირებული სამართალდამცავი სტრუქტურების ეფექტურ ევოლუციურ განვითარებაზე. ჩვენ შემთხვევაში როცა ხელისუფლებას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტად აქვს გამოცხადებული მიმდინარეობს საკანონმდებლო რეფორმა ამ მიმართულებით და ამ საქმიანობას ახორციელებს მთელი რიგი სახელმწიფო სტრუქტურები: შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოს დაზვერვის სამსახური, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, მაშინ როცა საბჭოთა და შემდგომ პერიოდში ამ საქმიანობას ეწეოდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა.

ამ მიმართულებით მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია დანაშაულის მეცნიერული კვლევის სახელმწიფოებრივ დონეზე კორდინირებული წარმართვა შესაბამისი სტრუქტურების გაძლიერებისა და ჩამოყალიბების მეშვეობით, რომელიც დღეის მდგომარეობით არასაკმარისია, კერძოდ ფუნქციონირებს:

1. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების ორგანიზაციებიდან - თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილება.

2. საწავლო ორგანიზაციებიდან ქვეყანაში მოქმედ 100-მდე იურიდიული სპეციალობის მქონე აკრედიტებული და არააკრედიტებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან კრიმინოლოგია ისწავლება მხოლოდ თორმეტში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტრტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის სამართლის სკოლა, გორის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი).

3. სამეცნიერო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან:

- სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი;
- დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი;
- ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება.

მრგვალი მაგიდა „კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში" ტარდება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ მათივე დაარსებული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „კრიმინოლოგი" ინიციატივით. ამიტომ აღსანიშნავია ის საქმიანობა, რომელიც გაწეულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ძალისხმევით, უკანასკნელი წლების განმავლობაში კერძოდ:

– გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს კრიმინოლოგიური კვლევების ლაბორატორია;

– 2007 წლიდან როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოდის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი", გამოცემულია ოთხი ნომერი ასზე მეტი ავტორით.

– კრიმინოლოგიის პრობლემატიკაზე ჩატარებულია ორი სამეცნიერი-პრაქტიკული კონფერენცია;

– 2007-2008 წლებში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ", რომლის ფორმატით ჩატარდა კრიმინოლოგიური კვლევები და მრგვალი მაგიდის სერიალი: „არასრულწლოვანები და დანაშაულობა", „ნარკომანია და ახალგაზრდობა" და „ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა".

– ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2009 წელს ჩატარდა კრიმინოლოგიური კვლევა და მრგავალი მაგიდა „ქალი და დანაშაულობა".

– 2008 წელს დამყარდა კონტაქტი აშშ-ს კრიმინოლოგიურ საზოგადოებასთან და მისი აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი კრის ესკრიჯი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში.

2010 წელს დანაშაულობის კვლევის და პროგნოზირების ცენტრის მიერ ჩატარდა კრიმინოლოგიური კვლევა სამართალმცოდნეებს შორის: "კრიმინოლოგიის ადგილი და როლი საზოგადოების განვითარებაში".

არსებული პრაქტიკისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით კრიმინოლოგიის ადგილის და როლის საზოგადოებაში განსაზღვრისათვის წარმოვადგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

– კრიმინოლოგიის სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრაქტიკაში გამოყენების ერთიანი პოლიტიკის, კონცეფციისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის წინაპირობების შექმნა;

– სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალთან კრიმინოლოგთა-ექსპერტთა საბჭოს დაარსება;

– კრიმინოლოგიის დარგის პოპულარიზაცია საზოგადოებაში, განსაკუთრებით სამართალმცოდნეებს-მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა შორის;

– კრიმინოლოგიური ტერმინების სრულყოფა და ერთიანი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება.

მალხაზ ბაძაღუა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი
ჟურნალის „კრიმინოლოგი" მთავარი რედაქტორი

დანაშაულობა და კრიმინოლოგია თანამედროვე საზოგადოებაში

რეზიუმე

ნაშრომში ავტორი ახასიათებს საქართველოში დანაშაულობის მდგომარეობას და კრიმინოლოგიის მეცნიერების, მისი სწავლების და პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებებს.

განხილულია ბოლო წლებში კრიმინოლოგიის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, რასაც ხელი შეუწყო ქართველი მეცნიერ-კრიმინოლოგთა კვლევებმა.

ნაშრომში ავტორს წარმოდგენილი აქვს რეკომენდაციები კრიმინოლოგიის სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრაქტიკაში გამოყენების ერთიანი პოლიტიკის, კონცეფციისა და სტრატეგიის ჩამოყალიბების წინაპირობების თაობაზე, ასევე კრიმინოლოგიაში გამოყენებული ტერმინების სრულყოფისა და ერთიანი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე.

Малхаз Бадзагуа

Преступность и криминология в современном обществе

Резюме

В данной работе автор описывает состояние преступности, изучение и использование в практике науки о криминологии.

Рассмотрены те меры, которые в последнее время были приняты для развития криминологии, которым способствовали исследования грузинских ученых-криминологов.

В данной работе автор излагает рекомендации об обучении криминологии, о создании единой политики, концепции и стратегии для использования в практике научно-исследовательных работ, а также для совершенствования терминов используемых в криминологии и создании новой, единой терминологии.

Malkhaz Badzagua

Crime and criminology in contemporary society

Summary

In this paper, the author describes the characteristics of crime and science of criminology, its study and use in the practice in Georgia.

Here are reviewed the measures that have recently been adopted for the development of criminology, to which contributed researches of Georgian criminologists.

In this paper, the author provides advice about teaching criminology, the establishment of common policies, concepts and strategies for use in the practice of scientific-research findings. Author also speaks about the need to improve the expressions used in criminology and about the need to create a new, common terminology.

გიორგი თოდრია

სამართალი და კრიმინოლოგიური აზროვნება

1. სამართალი ყოველთვის გამოდის როგორც სახელმწიფოებრივი იძულების საშუალება გარკვეული ტიპის საკუთრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. და ამ მიმართებით იგი განსაკუთრებულად მოქმედებს. გავიხსენოთ ყველასათვის ცნობილი ისტორიული ფაქტი. XV საუკუნეში და მთელი XVI საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპის მოსახლება მასიურად და ძალადობრივად იდევნებოდნენ საკუთარი მიწებიდან საძოვრების გაფართოების მიზნით. შედეგად ისინი ღატაკდებოდნენ და თავს ქურდობით, ძარცვითა და სხვადასხვა სახის დანაშაულობებით ირჩენდნენ.

აღნიშნულ ისტირიულ პერიოდში კანონმდებლობით ისინი მკაცრად ისჯებოდნენ, რადგან მოცემულ შემთხვევაში ეს პირები მიაჩნდათ გაუცხოების სუბიექტებად და დამნაშავეებად. სამართალურთიერთობაში ხომ პირი მოცემულია როგორც ქმედების (გაუცხოების) ამსრულებელი და არა რიგორც მისთვის გარკვეული გაუცხოების ძალების შედეგი, ობიექტი. მოგვიანებით იმავე პირებს ძალით კანონის შიშით აიძულებდნენ განვითარებად მანუფაქტურებში ემუშავათ ნებისმიერი მძიმე პირობების არსებობისას. ორივე შემთხვევაში კანონით ეს პირები სისხლისამართლებრივად დასჯად და დამნაშავეებად მიიჩნეოდნენ. არსებული სამართალურთიერთობის მიღმა დანაშაულის დეტერმინაციაში სამართლის რეალური როლი არ ჩანს, არ ჩანს სამართალი, როგორც სახელმწიფოებრივი იძულების ელემენტი და კაპიტალის დაგროვების გზა.

სამართლის წინააღმდეგობრივი ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ სამართალი როგორც გაუცხოების სუბიექტი არსებითად მონაწილეობს დანაშაულის დეტერმინაციაში. ხოლო, როგორც მოცემული დეტერმინაციის გამოვლენის ფორმა იგი ვირტუალურადაა მოცემული: გაუცხოების სუბიექტს კონკრეტული ინდივიდი წარმოადგენს, ხოლო გაუცხოების ობიექტს კი - სამართალი. თუმცა, სინამდვილეში სამართალი ყოველთვის არსებობს ხალხთა გაუცხოებაში, ხოლო დანარჩენები კი გაუცხოების ობიექტად იქცევიან.

ამრიგად, კრიმინოლოგმა სამართალი ორი განზომოლებით უნდა განიხილოს. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულობა საზოგადოებაში წინააღმდეგობათა გადალახვის საშუალებად გვევლინება, რომელთაც ინდივიდი აწყდება, მაგრამ სამართალურთიერთობაში ისინი საწინააღმდეგო ფორმით ვლინდებიან - როგორც საზოგადოებასთან დაპირისპირების საშუალება, როგორც მასში გაბატონებული სისხლისსამართლებრივი კანონების დარღვევა. ამგვარად, დანაშაულების მსოფლიო ისტორიის მთელ გზაზე საზოგადოებრივ ფაქტორებთან ერთად ინდივიდზე საზოგადოებრივი იძულების ფაქტორებიც იწყებენ ზეგავლენის მოხდენას.

რა პრაქტიკული დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ მოცემული მდგომარეობიდან? იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში კაპიტალის ძალადობრივი დაგროვება ძლიერდება, მაშინ სახელმწიფოებრივ პროგრამებში იმ ფაქტების ანალიზი იწყება, რომლებშიც ისინი თავს სამართალურთიერთობის თვალსაზრისიდან იჩენენ. ძლიერდება სოციოლოგიური ეკლეკტიზმი და საკითხის ფსიქოლოგიზაცია. ტიპიურ მაგალითს ე.წ. კორუფციასთან ბრძოლა წარმოადგენს.

კორუპციასთან ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ პირთა დაპატიმრებებმა ძალზედ იმატა. იმავდროულად დარჩენილ მუშაკებს ხელფასი ეზრდებოდათ, მათი საყოფაცხოვრებო პირობები უმჯობესდებოდა და ა.შ. თუმცა, ქვეყანაში კაპიტალის ძალადობრივი გზით დაგროვება ჯერ კიდევ არ შეცვლილა: შემცირდა კორუმპირებული მოთხოვნა, მაგრამ გაიზარდა კორუმპირებული წინადადება. რაც მთავარია, საიდუმლო „ფსონი“ არ შემცირებულა, რომელიც ამჟამად მცირე რაოდენობის მონაწილეთა შორის მაინც ნაწილდება.

პირიქით, განვითარებულ ქვეყნებში, როგორც კრიზისის დროს შედარებით მშვიდმა პერიოდმა გვიჩვენა, ეკონომიკის საბაზრო რეგულირების გაძლიერებამ ცხოვრების სოციალური სფეროების განხილვა მოითხოვა, რომლებიც სამართალურთიერთობის ფარგლებს სცილდებიან. საბაზრო ეკონომიკამ ფარდა იმ ფაქტს ახადა, რომ დანაშაულობის დეტერმინაციაში გლობალური საზოგადოებრივი ფაქტორები იჩენენ თავს, რომლებიც არ შეესაბამებიან დამნაშავის ფსიქოლოგიასა და ცხოვრების წესს და ა.შ. შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წლებში კრიმინოლოგიის ახალი მიმართულება გამოჩნდა - რადიკალური კრიმინოლოგია, რომელიც სამართალურთიერთობას კრიტიკულად უდგება (როგორც დანაშაულებრიობის სამართლებრივ ფორმას) და ცდილობს საზოგადოების ეკონომიკურ წყობაში გარკვეულ მიზეზთა მოძიებას.

რადიკალურ კონცეფციებში სამართალი უკვე როგორც criminogenic–ად იხილება. როგორც ტ. იანგი მიიჩნევს თანამედროვე კრიმინოლოგიის (და ამავდროულად პრაქტიკის) ძირითადი წარუმატებლობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ინდივიდუალურ ადამიანს, როგორც თეორიული ანალიზის ერთეულად განსაზღვრავს, ანუ ისე როგორც ამას იურისტი რეალურად აღიქვამს. მისი აზრით, დანაშაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და სახეობები წარმოების საშუალებათა განმსაზღვრელია. სრულიად ახალი ფორმის დანაშაულობა, ახალი კანონები, მართლმსაჯულების ახალი სისტემები, დანაშაულობის ახალ სახეობათა კონტროლის ტაქტიკა და ახალი დაცვის ფორმები სპეციფიკური კაპიტალისტური წარმოებიდან გამომდინარეობენ. კაპიტალიზმი - წარმოების ერთადერთი საშუალებაა, რომლის მეშვეობით ადამიანები წარმოებისა და დანაწილებისაგანაა განსხვავებული და ამრიგად მთელ თანასაზოგადოებას ანადგურებს. საზოგადოებაში, სადაც წარმოება ამგვარად არის ორგანიზებული, სადაც ადამიანები მატერიალური და იდეოლოგიური კულტურული წარმოებისგან ან არსებითი კულტურული რესურსების განაწილებათა საშუალებისგან არიან გამიჯნულნი, მაშინ შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ დანაშაულობათა სახეობები იმატებენ.

2. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კრიმინოლოგიური აზროვნება არ განიხილავს სამართლის ორმხრივ როლს:

- სამართალს, როგორც საზოგადოებასთან (გაუცხოების პროცესთა) წინააღმდეგობის გამოხატვის ფორმას;

- სამართალს, როგორც დანაშაულობის დეტერმინაციის ელემენტს.

შესაბამისად, არ მოგვეპოვება ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც გაანალიზებს დანაშაულობის დეტერმინაციის გამოვლენაზე მოქმედ ფაქტორებს (მათ შორის სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ფაქტორებს) კრიმინოლოგიური აზროვნება - ეს არის არა მხოლოდ

დანაშაულის არსის შესახებ აზროვნება, არამედ ფორმათა გააზრებაც, რომლებშიც დანაშაულობის დეტერმინაცია ვლინდება. სამართლის დუალისტური ბუნების გარკვევა პირდაპირ მოქმებეს დანაშაულობის გაზომვის საკითხის სწორ გადაწყვეტაზე.

ამიტომ მოცემული საკითხის კორექტული გადაწყვეტილების მიზნით აუცილებელია სახელმწიფოებრივი ასახვის ისტორიულად არსებულ ფორმათა გამოკვლევა. მოცემული მიდგომა ერთხელ და სამუდამოდ მოგვცემს საშუალებას უარი ვთქვათ კრიმინოლოგიაში არსებულ ელეკტიკურ აზროვნებაზე. ამასთანავე, აღწერილი მიდგომა გამოავლენს იმ მიზეზს თუ, რატომ თანამედრომე კრიმინოლოგი ცალმხრივად და ზედაპირულად აზროვნებს. მიგვაჩნია, რომ სამართლის დუალისტური ბუნების ანალიზის შედეგად გადაწყდება ურთულესი პრობლემატიკა, რომელიც კრიმინომეტრიასთანაა დაკავშირებული. უდავოა, რომ სამართლის კრიმინოგენული როლისა და ამასთანავე სამართლის, როგორც დანაშაულობის დეტერმინაციის გამოხატვის ფორმების გაგების გარეშე კრიმინოლოგიური აზროვნება მეცნიერების მწვერვალს ვერ მიაღწევს.

გიორგი თოდრია

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ჟურნალ "კრიმინოლოგის" სარედაქციო კოლეგიის წევრი

სამართალი და კრიმინოლოგიური აზროვნება

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ავტორი აღნიშნავს, რომ სამართალი ყოველთვის გამოდის როგორც სახელმწიფოებრივი იძულების საშუალება გარკვეული ტიპის საკუთრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და ამ მიმართებით იგი განსაკუთრებულად მოქმედებს.

ნაშრომში ავტორი ასევე აღნიშნავს რომ კრიმინოლოგმა სამართალი ორი განზომილებით უნდა განიხილოს. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულობა საზოგადოებაში წინააღმდეგობათა გადალახვის საშუალებად გვევლინება, რომელთაც ინდივიდი აწყდება, მაგრამ სამართალურთიერთობაში ისინი საწინააღმდეგო ფორმით ვლინდებიან - როგორც საზოგადოებასთან დაპირისპირების საშუალება, როგორც მასში გაბატონებული სისხლისსამართლებრივი კანონების დარღვევა. ამგვარად, დანაშაულების მსოფლიო ისტორიის მთელ გზაზე საზოგადოებრივ ფაქტორებთან ერთად ინდივიდზე საზოგადოებრივი იძულების ფაქტორებიც იწყებენ ზეგავლენის მოხდენას.

Гиоргий Тодрия

Право и криминологическое мышление

Резюме

В данной работе автор отмечает, что право всегда выступает в качестве государственного оружия для принуждения, чтобы заполучить некоторые виды имущества, и в этом смысле он действует особым способом.

Автор в работе также отмечает, что криминолог должен рассматривать право в двух измерениях. Это значит, что преступность в обществе рассматривается как способ преодоления противостояния, с которыми сталкивается индивид, но в правоотношениях они подругому выявляются - как способ противопоставления с обществом, как нарушение тех уголовных законов, которых придерживается общество.

Таким образом, в истории развития преступности кроме общественных факторов на индивида также имеет огромное влияние факторы общественного принуждения.

Georgi Todria

Law and criminological thinking

Summary

In the paper, the author notes that the law, in the hands of government, always serves as a weapon to coerce the public, to get certain types of property and in this sense it acts in a special way.

The author also notes that the criminologist should consider the law in two dimensions. This means that crime in a society is considered as a way to overcome the resistance faced by the individual, but it in the legal interactions it revealed with entirely opposit form - as an instrument to contradict with the society, as a violation of the penal laws. Thus, in the history of crime, except social factors, social coercion has a huge impact factor on the individual.

ჯემალ ჯანაშია

კრიმინოლოგიური კვლევების როლი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში

ჩემი გამოსვლა მინდა დავიწყო XX საუკუნის ცნობილი გერმანელი კრიმინოლოგის შნაიდერის საინტერესო გამონათქვამით: "კრიმინოლოგიამ უნდა განსაზღვროს, ვის მხარეზეა იგი: - დამნაშავის, მსხვერპლის თუ საზოგადოების"[1]. სწორედ ამ მოსაზრებაში ჩანს თუ რამდენად მრავალწახნაგოვანია კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება. იგი მუდმივად ვითარდებოდა და ვითარდება და ახალი სახის თეორიული და პრაქტიკული სახის კითხვებს ბადებს. თუმცა თანამედროვე ეტაპზე ეჭვს არ იწვევს, რომ კრიმინოლოგიის მოძღვრებაში უმთავრესია სამი ძირითადი პრობლემა:

1. დანაშაულობა;
2. დანაშაულის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები;
3. დანაშაულის აღკვეთა, აცილება.

მე ჩემს გამოსვლაში ვეცდები ეს სამი პრობლემა ერთმანეთთან დავაკავშირო და ეს საკითხები რეგიონალურ ჭრილში განვიხილო. აზრი ამ კვლევის შესახებ გასული საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძლზე განვითარებულმა მოვლენებმა ჩამომიყალიბა. ეს კონფლიქტები თუმცა სხვადასხვა სივრცეებში მიმდინარეობდა, მათ მრავალი და რაც მთავარია მომავალი პროგნოზირების საერთო ნიშანი და შემადგენელი გააჩნდათ და გარკვეული ერთგვაროვანი მოსაზრებებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ჩემი აზრით, სწორი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ყოველივე ისტორიულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომლებიც ყველა შემთხვევაში ამ სივრცეებში გეოპოლიტიკური თამაშების განმსაზღვრელ უდიდეს სახელმწიფოებთან არის დაკავშირებული.

ჯერ შევჩერდეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებზე, რომლებიც ძირითადად რუსეთის სცენარით მიმდინარეობდა. მან ძალისმიერი ინტერვენციული პოლიტიკის და მოქნილი დიპლომატიის გამოყენებით უდიდესი იმპერია შექმნა, ამ იმპერიაში 1801 წელს საქართველო შეიყვანა, 1813 წელს აზერბაიჯანი, ხოლო ყველაზე ბოლოს ჩეჩნეთი – 1858 წელს და დაღესტანი 1878 წელს დაიპყრო.

დაპყრობით ომებს თან სდევდა მკვიდრი მოსახლეობის გადასახლება – განდევნა მკვიდრი ტერიტორიებიდან, რასაც იმავდროს უდიდესი მიგრაციული პროცესები მოჰყვა. გადაადგილებული მოსახლეობა მოძრაობდა ევრაზიულ სივრცეებში ბალკანეთიდან ცენტრალურ ევროპამდე, კავკასიიდან ცენტრალურ აზიამდე, ჩინეთის საზღვრებსა და წყნარი ოკეანის ნაპირებამდეც კი. მთელი ამ პროცესების მანძილზე კლანური ტიპის კონტაქტები არა თუ სუსტდებოდა, პირიქით, ისტორიულ კონტაქტებს აძლიერებდა წარმოშობის ადგილებთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა კავშირის მფარველობის ქვეშ მყოფ მთელ ტერიტორიაზე დაიწყო ხალხების ახალი გადაადგილება და იმპერიის დაშლა - დეკომპოზიციის შემდგომი ეტაპი, რომელსაც უმძლავრესი იმპულსი მისცა 80-ანი წლების ბოლოს ყოფილ საბჭოთა სივრცეში ახალი

[1] . შნაიდერი გ.ი. კრიმინოლოგია; მოსკოვი, 1994, გვ. 10.

დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, რამაც თითქმის მილიარდამდე ადამიანს შედარებით თავისუფალი გადაადგილების საშუალება მისცა. ამას მოყვა არეულობები, კონფლიქტები, ომები, რომელშიც დიასპორას დიდი ნაწილიც აღმოჩნდა ჩათრეული: ჩეჩენთა სუფიური საძმოები ევრაზიულ სივრცეში, სომეხი საქმოსნები პლანეტის მრავალ კუთხეში, აფხაზები, თურქეთსა და სხვადასხვა ქვეყნებში, აზრბაიჯანელები ირანსა და სხვა მუსლიმანურ სახელმწიფოებში, რომლებიც ყოველნაირ კანონიერ თუ უკანონო საქმიანობაზე მიდიოდნენ თავიანთი საძმოების დასაცავად და დასაფინანსებლად.

საერთოდ აღიარებულია, რომ როდესაც კონფლიქტები და ომები უსასრულოდ იჭიმება დიასპორას წევრები მრავალნაირ კომერციაში ერთვებიან და საქმე, რომელიც დასაწყისში ელემენტარული თავის რჩენის წყაროს წარმოადგენს, მოკლე ხანში დასაბამს აძლევს სერიოზულ სავაჭრო ქსელებს. ასე შეიქმნა დანაშაულებრივი კონტრაბანდული მბრუნავი ქსელები, რომლის შუაგულშიც მუდამ ტრიალებდა კონტრაბანდული იარაღი, სიგარეტი, ნავთობი, სპირტი, ნარკოტიკები.[1]

სწორედ ასე ნელ-ნელა ჩამოყალიბდა რეგიონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც თანდათან მწყობრი სისტემის სახეს იღებდა.

მათ მემკვიდრეობით მიიღეს კოლონიური იმპერიების წიაღში ჩასახული დანაშაულებრივი სტრუქტურები, ხოლო ახალი რეალობის გათვალისწინებით მათთვის დამახასიათებელი ავანტურისტული, სხარტი გონებით მარჯვედ გააბეს ახალი კავშირები, ყოფილი კომუნისტური რეჟიმის გარე სამყაროსთან.

კრიმინალურმა ორგანიზაციებმა შესაშური უნარი გამოიჩინეს – ფულის მოსაგებად სხვადასხვა კომპრომისზე წავიდნენ და ერთმანეთს შორის წარმოებულ ტოტალურ ომებს გაუძლეს. მიუხედავად რელიგიური, რასობრივი და ტერიტორიული წინააღმდეგობებისა, საჭირო შემთხვევაში გაერთიანდნენ კიდევაც. ამას კი გაცილებით სწრაფად და ხარისხიანად აკეთებდნენ ვიდრე მსოფლიო სამათალდამცავი სისტემის წარმომადგენლები.

ზოგადმა კვლევებმაც კი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების კრიმინოლოგებმა ჩაატარეს ერთი საერთო აზრი ჩამოაყალიბა, რომელიც კარგად განავითარა ცნობილმა ჩეხმა ექსპერტმა პაველ ბემმა[2] აი, რას ამბობს იგი: "წლების განმავლობაში კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში იზიარებდნენ იმ იდეოლოგიას, რომ დანაშაული ეს კაპიტალისტური სისტემის გადმონაშთია, და რომ იგი არ არის სოციალური მოვლენა და კლასთა შორის უთანასწორობის და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზების შედეგი". სწორედ დანაშაულთან ბრძოლის მსოფლიო სისტემიდან თვითიზოლაციამ, თავისუფალი საბაზრო სივრცეში გაერთიანებისას წარმოშობილი სპეციფიკურობის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია ის, რომ ამ ქვეყნების სამართალდამცავი სისტემები, საკანონმდებლო ბაზა, (რომელიც უაღრესად არაეფექტური იყო) ფინანსური და ეკონომიკური წრეები, მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ახალი რეალიების პირობებში საქმიანობისათვის.

---

[1] . A. Ottoman, Le desenclavement de L'Asie centrale et du Caucase, in Cahires d'etudes sur la mediterrance et le monde turco-iranien (CEMOTI), Paris, #18, 1994.

[2] . Pavel Bem, Chieb Doctor at the Centre of Drug Addict Cure in Prague.

სულ მალე რეგიონალური დანაშაულებრივი დაჯგუფებების უკან დიდი ფინანსები, პოლიტიკური ძალა და რაც მთავარია საკანონმდებლო და სამართალდამცავ სტრუქტურებზე გავლენა გაჩნდა.

დღეს უკვე კავკასიური და მათ შორის ქართული ორგანიზებული დაჯგუფებები, მოქმედებენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რუსეთი, ავსტრია, საფრანგეთი, უკრაინა, ბულგარეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, ბელგია და სამხრეთ აფრიკაც კი. ისინი აქტიურად არიან ჩართული ბიზნესში, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, სოციალურ ინფრასტურქტურაში. და რაც ყველაზე საშიშია გავლენა გააჩნიათ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაშიც კი. აი, რას წერს ცნობილი იტალიელი სოციოლოგი ჰუმბერტო სანტინო: "ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები სახელმწიფოსთვის საშიშიც არის და იმავდროულად ობიექტური პარტნიორიც, რადგან თავისი ეკონომიკური როლის გამო, რომელიც სახაზინო შემოსავლების და სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებიდან მიღებული თანხებით გაიზარდა, ამავე დროს მისი პოლიტიკური როლის გამოც, რომელსაც კენჭისყრის კონტროლის და მნიშვნელოვან ცენტრებთან კავშირის მეშვეობით მიაღწიეს, რჩება სახელმწიფოს შიგნით და მის გვერდზე."[1]

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების კლასიკური ნიმუშია საქართველოში და მის ფარგლებს მიღმა ჩამოყალიბებული რეგიონალური დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც წლების განმავლობაში ვითარდებოდა, აყალიბებდა ახალ დანაშაულებრივ კავშირებს და საერთაშორისო დანაშაულებრივ (TCO) ორგანიზაციად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

თუ თვალს გადავავლებთ დანაშაულებრივი სამყაროს ჩასახვისა და განვითარების ისტორიას საქართველოში, შეიძლება ვთქვათ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლეში ქურდული სამყარო და მისი ლიდერები მყარად შევიდნენ საქართველოს ხელისუფლების ყველა სტრუქტურებში (აღმასრულებელი და საკანონმდებლო) და სერიოზულ ზეგავლენას ახდენდნენ ქვეყნის მართვაზეც კი. ისინი ზეგავლენას ახდენდნენ ქვეყნია საშიანო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე (ამის ნათელი მაგალითია "კანონიერი ქურდი" ჯაბა იოსელიანი), რომელსაც ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მრავალ საკითხს უთანხმებდა და ბევრ შემთხვევაში საკადრო საკითხებსაც კი ვერ წყვეტდა მის გარეშე.[2]

ბევრი დანაშაულებრივი სამყაროს ლიდერი, ასეთ კავშირში იყო სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებთანაც. მათ შორის, ამ სისტემის ხელმძღვანელებთანაც კი, შ. კალაშოვი, ტ. ონიანი და სხვ. ყოველივე ამან კი სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინა ამ სისტემებში მიმდინარე პროცესებზე, როდესაც ნებისმიერ სერიოზულ ჩასატარებელ ან ჩატარებულ ღონისძიებებზე დანაშაულებრივ სამყაროს წინმსწრები ინფორმაცია გააჩნდა.

საქართველოში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ. მოხდა საკანონმდებლო და ორგანიზებულ-სტრუქტურული სრული დაყოფა, შეიცვალა სისხლისსამართლებრივი სტრატეგია ამ მიმართებით, იგი გახდა გაცილებით შემტევი, უკომპრომისო და ეფექტური, რამაც გამოიწვია

[1] ჯემალ ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა; მონოგრაფია. თბილისი 2002 წ, გვ.360

[2] გივი ლობჟანიძე. "კანონიერი ქურდები საქართველოში"; თბილისი 2002წ.

“ქურდული სამყაროს” განდევნა ქვეყნის ტერიტორიიდან მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში დარჩა მათი მყარი ჩამოყალიბებული კავშირები და კანონსაწინააღმდეგო დავალებების შემსრულებელთა დიდი რაოდენობა.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: საქართველოში მოღვაწე კანონიერმა ქურდმა შაქრო კალაშოვმა, საქართველო დატოვა 2004 წელს, შემდგომ პერიოდში თავისი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა განაგრძო ესპანეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მან თავის მეკავშირესთან ორმაგი მოქალაქეობის მქონე ნუგზარ ბოჭორიშვილთან ერთად, ორგანიზება და ფინანსირება მოახდინა და ჩამოაყალიბა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფება (TCO) და დაამყარა რა დანაშაულებრივი კავშირები სამხრეთ ამერიკის რამოდენიმე ქვეყანაში მოქმედ ნავთობ კარტელთან დაიწყო ჯართის შემოტანა ამ ქვეყნებიდან. ჯართში კი იყო დამალული დიდი რაოდენობის კოკაინი. ტვირთი გემით შემოჰქონდათ ფოთის პორტში საიდანაც გადაჰქონდათ წყალტუბოს რაიონში და ხდებოდა ჯართის გადამუშავება და კოკაინის დაფასოება სხვადასხვა ზომის პარტიებად.[1]

გარკვეული დროის შემდეგ ავტომანქანების სხვადასხვა აგრეგატებში დამალული კოკაინი, საბაჟო-გამშვები პუნქტების გავლით, გადაჰქონდათ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

სამწუხაროდ ეს დანაშაულებრივი სქემა რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა და დიდი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალების, კოკაინის შეტანა გახდა შესაძლებელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

დაახლოებით ანალოგიური პროცესები განვითარდა ბალკანეთში. გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან, კონტრაბანდული ქსელებით: იარაღით უკანონო ვაჭრობა, ნარკოტიკები, ადამიანებით უკანონო ვაჭრობა, სიგარეტების და სხვა საშუალებების კონტრაბანდა დიდი სისწრაფით გაიზარდა. ხოლო 80-იანი წლების ბოლოს იგი იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის მთავარი არტერია გახდა ევროპაში, ე.წ. “ბალკანურმა მარშრუტებმა” დიდი თავის ტკივილი გაუჩინა ევროპის სამართალდამცავ სტრუქტურებს. აი, ეს მარშრუტები დეტალურად:

1. “პირდაპირი გზა”. თურქეთიდან-დასავლეთ ევროპაში (ბულგარეთის, საბერძნეთის, ავსტიის, იტალიის, შვეიცარიის გავლი);
2. “სამხრეთის გზა”. თურქეთიდან-იტალიაში (საბერძნეთი, ალბანეთი, სერბია სლოვენია);
3. “ჩრდილოეთის გზა”. თურქეთიდან-გერმანიაში (რუმინეთი, სლოვაკია, პოლონეთი);
4. “კოსოვარის გზა”. თურქეთიდან ან კვიპროსიდან (იტალია, სლოვენია, ბულგარეთი, მაკედონია, ალბანეთი (ხმელეთი).

სიტუაციას უდაოდ შეუწყო ხელი ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე ეთნიკურმა დაპირისპირებებმა, ხოლო უკანონო კონტრაბანდას (იარაღი, ნარკოტიკები, სიგარეტი, ადამიანებით ვაჭრობა და სხვა) მძლავრი იმპულსი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებულმა არეულობებმა და ანარქიამ მისცა.

[1] გაზეთი ახალი თაობა. ნ. ბურჭულაძე; “შაქრო კალაშოვის კოკაინური სევდა”; გვ.5

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიაზე მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობა, პოლიტიკურადაც იყო მოტივირებული. ეს ჯგუფები მოგებული თანხებით იმ სეპარატისტულ მოძრაობას აფინანსებდნენ, რომელიც ყოფილ იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ამ მოსაზრების არგუმენტირებისათვის სტატისტიკას მივმართოთ, კერძოდ, 1990 წელს ევროპაში ნარკოტიკებისა და იარაღის გავრცელებისათვის დაკავებულ იუგოსლავიელთა უდიდესი ნაწილი ხორვატები და ეთნიკური ალბანელები იყვნენ, დანარჩენი კი სერბიის კოსოვოს პროვინციის წარმომაგენლები. ამ პერიოდისათვის ხორვატიამ უკვე მოიპოვა დამოუკიდებლობა, კოსოვოს ალბანელები კი იმისათვის იბრძოდნენ, რომ თავი დაეღწიათ სერბიის ზეგავლენისაგან. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს იქნებოდა ალბანელებთან გაერთიანება და დიდი ალბანური სახელმწიფოს შექმნის გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი.

ჯერ კიდევ 1991 წლის ოქტომბერში შვეიცარიის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ კოსოვოს ალბანელებმა ბერნში ნარკოტიკების გასაღებით მიღებული თანხებით შეიძინეს საკმაო რაოდენობით ნახევრადავტომატური იარაღი. სხვა ინფორმაციების ანალიზით დგინდება, რომ იარაღი მიჰყიდეს ხორვატელ სეპარატისტებს და კოსოვოს წინააღმდეგობის ფრონტს და ალბანელთა ეროვნულ განმათავისუფლებელ ძალებს – ჯგუფს, რომლის მიზანიც კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენლობიდან გამოყვანა და ალბანელებთან შეერთება იყო.[1]

საინტერესოა, იმ ხანად გაზეთ ტაიმსის მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიება: "კოსოვოს განთავისუფლების არმია – კგა, რომელსაც დასავლეთი უჭერს მხარს მარქსისტული ორგანიზაციაა" – წერდა გაზეთი ტაიმსი, "იგი საეჭვო წყაროებიდან ფინანსდება". ტაიმსის მიერ ჩატარებული გამოძიებისას დადგინდა, რომ დასავლეთ ევროპის სამი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისა და ევროპულის (სრულიად ევროპის საპოლიციო ორგანიზაცია) მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაიხსნა საქმეები, იმ ფაქტებზე, რომ კგა-ს ნაკლებად ცნობილი დაჯგუფებიდან სამხედრო ორგანიზაციად გადაქცევა შესაძლებელი გახდა, იარაღით, ნარკოტიკებით, სიგარეტით, ადამიანით ვაჭრობით და სხვა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღებული უდიდესი მოგების წყალობით.

ევროპოლმა, რომელიც ჰააგაშია დისლოცრებული, იმ ხანად მოამზადა სპეციალური ანგარიში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისათვის, რომელიც ეხებოდა კგა-ს და ალბანურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს შორის კავშირს, რომლის ძირითად საქმიანობას იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობა წარმოადგენდა.

იმ პერიოდში გერმანულმა პოლიციამ თავისი მოსაზრება უფრო დააკონკრეტა და იგი ასე ჩამოაყალიბა: "ჰეროინით ბიზნესში ალბანელ დამნაშავეთა პოზიციების მოულოდნელი განმტკიცება შვეიცარიაში, გერმანიასა და სკანდინავიაში ემთხვევა კოსოვოს განთავისუფლების არმიის ასევე მოულოდნელ მეტამორფოზას – გლეხთა შეიარაღებული ბანდიდან (როგორც ის საწყის ეტაპზე გვევლინებოდა, იგი 80 ათასიან სამხედრო ფორმირებად

[1] Tomislav Kresovick, The Separatist Organization, Kosovo Dossier, SKC Nis, Belgrad, 1996

გადაიქცა, რომელიც ყუმბარმტყორცნებით, ტანკსაწინააღმდეგო იარაღითა და AK-U7 ტიპის ავტომატებით იყო აღჭურვილი.[1]

როგორი იქნება ორგანიზებული დანაშაულის სამომავლო სახეცვლილება რეგიონალური თუ საერთაშორისო მასშტაბით, მეცნიერთა და პირველ რიგში, სწორედ კრიმინოლოგიური კვლევის საგანი არის და იქნება. უმთავრესად კი ის მიმაჩნია, რომ მიუხედავ ნებისმიერი სახის პოლიტიკური რეალობებისა, მეცნიერთა უპირველესი ვალია ხელისუფლებას და პირველ რიგში საზოგადოებას ობიექტური დასკვნები, რეკომენდაციები და პროგნოზები შესთავაზოს.

დაბოლოს, მინდა შემოგთავაზოთ გარკვეული ანალიტიკური კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები და მოსაზრებები, კერძოდ:

ორგანიზებული დანაშაული რეგიონალურ დონეზე არ უნდა განვიხილოთ, როგორც რომელიმე ერთი ქვეყნის შინაური პრობლემა, რადგან მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკამ დაგვანახა რომ აუცილებელია:

<u>პირველი</u> - სახელმწიფოებს შორის ინფომაციის, სისტემატიური და უფრო ფრთხილი ინტეგრაცია;

<u>მეორე</u> - სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლებებისათვის ურთიერთთანამშრომლობის ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც დამყარებული იქნება ინფორმაციისა და მომსახურე პერსონალის უფრო ფართო გაცვლაზე;

<u>მესამე</u> - საკანონმდებლო სისტემის ისეთი უნივერსალიზაცია, რომელიც შესამჩნევად გაადვილებს ბრძოლას რეგიონალურ-ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებთან.

დაბოლოს, ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მის ხელმძღვანელებს, დამნაშავეობასთან ბრძოლის სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესამუშავებლად, მათ მუდამ სამუშაო მაგიდაზე უნდა ჰქონდეთ ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე მოვლენების სწორი და უტყუარი ოპერატიული და სადაზვერვო მონაცემები, რათა შექმნილ სიტუაციაზე სწორად და ადეკვატურად იღებდნენ გადაწყვეტილებებს.

ჯემალ ჯანაშია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ჟურნალ “კრიმინოლოგის” სარედაქციო კოლეგიის წევრი.

[1] Роджер Бойс и Эске Раит. ОАК: Косовских повстанцев финансирует наркомафия. The Times, 24 марта. 1994 г.

კრიმინოლოგიური კვლევების როლი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში

რეზიუმე

თემაში განხილულია კრიმინოლოგიის მოძღვრებაში უმთავრესია სამი ძირითადი პრობლემა: 1. დანაშაულობა; 2. დანაშაულის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები; 3. დანაშაულის აღკვეთა, აცილება. ნაშრომში ეს სამი პრობლემა დაკავშირებულია ერთმანეთთან და განხილულია რეგიონალურ ჭრილში. ავტორის აზრით, განხილული საკითხები ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მის ხელმძღვანელებს საშუალებას აძლევს შეიმუშაონ სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

Джемал Джанашия

Роль криминологических иследований для решения региональных проблем

Резюме

В данной теме обсуждаются три основные проблемы в криминологии: 1. преступность, 2. причины и вспомогательные факторы преступности , 3. предупреждение и избежания преступности. В данной работе эти три проблемы взаимосвязаны и рассмотрены с региональной точки зрения.

По мнению автора, в теме рассмотренные вопросы, помогут политическим деятелям, государственным лицам разработать правильную внутреннюю и внешнюю политику.

Jemal Janashia

The role of criminological researches in solving regional problems

Summary

The topic discusses the three main issues in Criminology: 1. Crime 2. Reasons and supporting factors of crime, 3. Crime prevention and avert. The paper considers all these three issues in interrelation and from regional point of view.

According to the author, the subject of examination will help policy makers, public officials to develop the right domestic and foreign policy.

ალექსანდრე კვაშილავა

კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება

კრიმინოლოგიის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას მე არ შევეხები, რადგანაც ეს ჩემი მოხსენების ფარგლებს სცდება, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს კრიმინოლოგიისადმი მიდგომა ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა პერიოდში კრიმინოლოგია უკვე თავისი განვითარების იმ დონემდე იყო მისული, რომ დანაშაულის ჩადენისა და საერთოდ დამნაშავეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. სოციალისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში მოქმედებდა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ლენინის შრომებიდან გამომდინარე კონცეფცია, რომელიც პარტიულ დიქტატურასთან ერთად ნებისმიერ თეორიაზე და ნებისმიერ კანონზე მაღლა იდგა. ყველა კანონი ამ კოცეფციის შესრულებისაკენ იყო მიმართული, ხოლო მისი შემსრულებლები იყვნენ მოხლეები, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებდნენ პარტიის ყოველგვარ მოთხოვნებსა და სურვილებს. ყველა მეცნიერება გამოცხადებული იყო პარტიულად. ნებისმიერი მეცნიერების პარტიულობა ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ ყველგვარი გამოკვლევა უნდა დამთავრებულიყო პარტიის მოთხოვნათა სასარგებლოდ. ასეთ ვითარებაში, ის კონცეფცია, რომელზედაც საუბარია ზემოთ, ლენინიდან დაწყებული კომუნისტური პარტიის მიერ ხელისუფლებაზე უარის თქმამდე, რასაც მალე საბჭოთა ხელისუფლების დაშლაც მოჰყვა, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ყველა დანაშაულის მიზეზია ადამიანის მიერ ადამიანის შრომის ექსპლუატაცია, რომლის შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ კერძო საკუთრება, რაც მოსპო სოციალისტურმა რევოლუციამ და ამიტომ სოციალისტური წყობილების პირობებში დანაშაულის ჩადენის ყოველგვარი საფუძველი მოისპო და არ არსებობდა. ასეთი, ფაქტობრივად არარსებული მდგომარეობის არსებობა საბჭოთა კრიმინოლოგებმა ვერ შეძლეს თუ არ ისურვეს, ამის მტკიცება ახლა ძნელია, მაგრამ აშკარაა, რომ კომუნისტური პარტიის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობამ გამოიწვია გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების გაუქმება და დაახლოებით 30 წლის განმავლობაში კრიმინოლოგიური გამოკვლევების შეწყვეტა.

ი.ბ.სტალინის გარდაცვალებისა და სოციალისტურ წყობილებაზე კაპიტალისტური გავლენის აღორძინებისთანავე, გასული საუკუნის სამოციან წლებში (1957-1960 წწ.) საბჭოთა კავშირში განახლდა კრიმინოლოგიური კვლევები. კრიმინოლოგია როგორც მეცნიერება, მიმართული დამნაშავეობის წინააღმდეგ, აღიარებული იქნა, მაგრამ დანაშაულის მიზეზებზე და ხელშემწყობ პირობებზე მსჯელობა მიმდინარეობდა ფრთხილად, ვინაიდან კომუნისტურ პარტიას არ ჰქონდა მოხსნილი მისი ლოზუნგი კომუნიზმის – ე. წ. უკლასო წყობილების აშენებისა, და დანაშაულის ასეთი წყობილების აშენებამდე მოსპობის შესახებ. რაც შეეხება დანაშაულის მიზეზებს სოციალისტური წყობილების პირობებში, დაიწყო მტკიცება იმისა, რომ სოციალისტურ ქვეყნებში დამნაშავეობის მიზეზია კაპიტალიზმის გადმონაშთები, რომლებიც თითქოსდა უხილავი ფესვებით გადადის მომავალ თაობებზე, კაპიტალიზმის მოსპობისთანავე ეს მიზეზები უცაბად არ ისპობა, მაგრამ თანდათანობით მოისპობა და ჩვენ ვიცხოვრეთ კომუნიზმის პირობებში და ა.შ. ამასთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის ვადა შეამცირეს 10 წლამდე, განსაკუთრებულ შემთხვევაში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის 15 წლამდე, ხოლო სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა

არ გაუუქმებიათ. სსკ მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდა დახვრეტას, სასჯელს ითვალისწინებდა ერთნაირად – თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე ან დახვრეტა. ამაზე საუბარი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ამ აუდიტორიაში ეს საჭიროდ არ მიმაჩნია, რადგანაც ეს აქ ყველამ იცის. მაგრამ მინდა ხაზი გაესვას იმას, რომ კრიმინოლოგიის საჭიროება, თურმე, დაშლას მიახლოვებულმა სახელმწიფო ხელისუფლებამაც იგრძნო და იგი ისე დაიშალა, რომ კრიმინოლოგიის შესუსტების შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან გაიზარდა მოთხოვნები კრიმინოლოგიურ კვლევებზე. გაცნობიერებულ იქნა, რომ კრიმინოლოგია საჭიროა არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებისთვის, არამედ მისი შეცვლის პერიოდშიც. დღეს ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელმაც უარი თქვა კრიმინოლოგიური გამოკვლევების ჩატარებაზე, კრიმინოლოგიის შესწავლაზე, ან კრიმინოლოგიისადმი მოთხოვნების შესუსტებაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კრიმინოლოგია საჭიროა ყველგან და ყოველთვის. მართალია, ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოთხოვნები აქვს ყველაფრისადმი და მათ შორის კრიმინოლოგიური პრობლემებისადმიც, მაგრამ სადავოდ არ მიმაჩნია ის, რომ კრიმინოლოგიის შესწავლა და კრიმინოლოგიური კვლევების ჩატარება საკუთარ ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ყოველგვარი თავისებურებების გათვალისწინებით ყველა ქვეყანას სჭირდება. რუსეთში კრიმინოლოგიის სახელმძღვანელო (მე-4 გამოცემა) უკვე სამი ნაწილისაგან შედგება. მათ ზოგად და კერძო ნაწილს დაუმატეს მე-3 ნაწილი, რომელსაც სპეციალური ნაწილი უწოდეს და მოიცავს რუსეთის პრობლემებს რუსეთის ეროვნული უსაფთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

არამგონია დღეს აქ ვინმემ წარმოთქვას დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში კრიმინოლოგიისადმი მოთხოვნების შესუსტება საქართველოს რაიმე სახით სიკეთეს მოუტანს. საქართველოში კრიმინოლოგიისადმი მოთხოვნების გაძლიერება და ამ მეცნიერების განვითარება საქართველოსათვის, ჩემი აზრით, აუცილებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

კრიმინოლოგია, მისი მიზნებიდან გამომდინარე, იკვლევს კრიმინოგენურ მდგომარეობას ქვეყანაში, ზრუნავს მისი გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც შეიმუშავებს კანონიერ, ეფექტურ ღონისძიებებს, ასაბუთებს მათი გამოყენების სარგებლიანობას და რეკომენდაციის სახით შეაქვს ხელისუფლების ორგანოებში. რაც უფრო მეტი იქნება განხორციელებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტური ღონისძიება, მით უფრო მეტი იქნება შედეგი ჩაფიქრებულ დანაშაულთა პროფილაქტიკის, მომზადებულ დანაშაულთა თავიდან აცილებისა და დაწყებულ დანაშაულთა აღკვეთის საქმეში, რაც დღეს საქართველოს უფრო სჭირდება, ვიდრე სჭირდებოდა ადრე და სჭირდება სხვა ზოგიერთ ქვეყანას.

კრიმინოლოგიური რეკომენდაცია არაიშვიათად იძლევა კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დახვეწა-დაზუსტების საფუძველს, რითაც ხელს უწყობს საკანონმდებლო აქტების დაზუსტებას, მათი ეფექტიანობის ამაღლებას, სისხლისსამართლის პროცესის მონაწილეთა შორის კონფლიქტის მოსპობას ან შემცირებას, კანონის კანონიერად გამოყენებას. ამჟამად მოქმედი სსკ 172[1] მუხლის კანონიერად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ყველა ორსული ქალის საზღვარგარეთ გაყვანა და ახალშობილის იქ გაშვილება ან გაყიდვა. 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის გამოყენება ამავე კოდექსის 27-ე მუხლიდან გამომდინარე საერთოდ შეუძლებელია. სსკ რამდენიმე მუხლი

რამდენიმე ათეულჯერ არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლს, ახალი სსსკ მე-5 და მოქმედი სსსკ მე-10 მუხლებს და სსკ 53-ე მუხლს. კანონების დაზუსტების აუცილებლობის ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ კრიმინოლოგიის გამოყენების მოთხოვნილება დიდია, როგორც სუფთა კრიმინოლოგიური, ისე კანონშემოქმედებითი და კანონგამოყენებითი თვალსაზრისით.

მიზანშეწონილია და ჩემი აზრით, აუცილებლელია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობისა და საერთოდ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების შესწავლა, გაანალიზება, საჭიროების შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება. მათი რეალიზების შესაძლებლობების პოვნა და განხორციელება, რაშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება კრიმინოლოგიურმა გამოკვლევებმა უნდა შეასრულოს. თქმულიდან გამომდინარე საქართველოში კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება, ჩემი აზრით, უნდა გაფართოვდეს. ამისათვის აუცილებელია კრიმინოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლება, კრიმინოლოგების მომზადება და მომზადების პროგრამების გაფართოება ან ახალი პროგრამების შემუშავება. მიმაჩნია, რომ კარგი იქნება თუ, ამ მიმართულებით ნაბიჯს გადადგამს წინ ის კრიმინოლოგიური გამოკვლევების ცენტრი, რომელიც აქ დღეს ამ კონფერენციას ატარებს. თუმცა ეს იოლი საქმე არ არის. ეს დაკავშირებულია სამეცნიერო პოტენციალთან, მრავალმხრივ ორგანიზაციულ და ფინანსურ პრობლემებთან, მაგრამ მაინც ასეთის შესაძლებლობა, არ არის გამორიცხული, და თუ არსებობს მას პოვნა და გამოყენება უნდა.

ალექსანდრე კვაშილავა

საქართველოს ჰუმანიტარულ-
ეკონომიკური უნივერსიტეტისა და გორის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება

რეზიუმე

საქართველოში ამჟამად კრიმინოლოგიური კვლევის მიზანი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა იურიდიული მეცნიერებებისა, უნდა იყოს ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ყოველგვარ სამართალდარღვევათა მიზეზების მოსპობასა და ყველას მიერ შესაძლებლობებისა და სურვილის შესაბამისად საქართველოსთვის სასიკეთო საქმის კეთებას. ამ მიზნის მისაღწევად შესაძლებელია კანონგამოყენებითი ორგანოების დაკვეთებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამართლის მიმართულებათა მოკვლევითი სამუშაობის შესრულების შესაძლებლობების გამოყენება.

Александр Квашилава

Криминология, как обязательное наука для борьбы с преступностью

Резюме

В данный момент в Грузии целью исследований криминологии, также как и любой другой юридической науки должно быть создание и воплощение таких законов и других норматических актов, которые будут способствовать решению причин правонарушения и по желанию и возможности каждый может сделать доброе дело для Грузии. Для достижения этой цели возможно использование исследований законоиспользуемых органов и университетов по направлении права.

Alexander Kvashilava

Criminology, as a mandatory science to fight crime

Summary

Currently in Georgia objective of criminological studies, as well as any other legal science, should be the creation and implementation of such laws and other legal acts that would help address the causes of crime and give optional features for everyone, in case of will, to do good for Georgia. To achieve this, research bodies of universities can be used and thus fulfill demands of law-enforcement structures.

პეტრე დაუთაშვილი

კრიმინოლოგიის თანამედროვე პრობლემები საზოგადოებასა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში

ნებისმიერი სახელმწიფოს ხელისუფლების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კრიმინოლოგიური პოლიტიკის მიმართულებას, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ მიმართულებებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ციკლის ყველა სამეცნიერო დისციპლინის (და მათ შორის კრიმინოლოგიის) განვითარების საერთო თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას. სისხლის სამართლის მეცნიერება მოწოდებულია ერთიან თეორიულ სისტემაში მოიყვანოს სისხლისსამართლებრივი საკითხები, კანონის აღსრულების პრაქტიკა, იდეები და მეცნიერ-იურისტთა შეხედულებები და დასკვნები, რათა პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულთან ბრძოლაში. სწორედ, ასე აყალიბებს იგი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს და ყოველდღიურად ეძებს ახალ-ახალ გზებსა და მეთოდებს საზოგადოებრივი ურთიერთობის პრაქტიკულად სამართლებრივად მოწესრიგებაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა – თანამედროვე ეტაპზე საქართველოში რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს კრიმინოლოგიური პოლიტიკის პრინციპების განხორციელება, როგორც საზოგადოებაში, ასევე სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში?. პასუხი ერთის მხრივ დადებითია (მაგრამ არასახარბიელო) თუ კი ვიმსჯელებთ „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდზე, ხოლო მეორეს მხრივ - უარყოფითი (რასაც ვერ ვიტყვი მე-20 საუკუნის 90-ნი წლებიდან მოყოლებული) ვარდების რევოლუციამდე.

საბჭოთა იმპერიის პერიოდის ე.წ. „უძრაობის ხანაში", კრიმინოლოგიამ სხვა მეცნიერებებთან შედარებით, განიცადა აყვავების ხანა. გამოკვლეული და გაანალიზებული იქნა დამნაშავეობის მრავალი პრობლემა, მაგრამ სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების დანერგვა, როგორც საზოგადოებაში, ასევე სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში მთელი დატვირთვით არ ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების კომუნისტური იდეოლოგია მათ არ ანიჭებდა სათანადო მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, მე-20 საუკუნის 80-ნი წლების დასაწყისიდან თავი იჩინა მრავალმა ნეგატიურმა მოვლენებმა (ორგანიზებული დამნაშავეობა, რეკეტი, კორუფცია და ა.შ.) რომლებმაც დასაბამი მისცეს საბჭოთა იმპერიის ნგრევის დაჩქარებას. სწორედ, ამ მოვლენის მიმართ საბჭოთა კრიმინოლოგებმა გამოთქვეს ასეთი აზრი: „საბჭოთა ხელისუფლებას, რომ დაეჯერებინა კრიმინოლოგებისათვის, საბჭოთა კავშირი არ დაინგრეოდა." თუმცა კი ამასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ ასეთი შედეგი გარდაუალი იქნებოდა, მაგრამ არა ასეთი ფატალური შედეგებით. ხელისუფლებაში ძირითადად მოვიდნენ კრიმინალები. მოხდა მათი გახელისუფლება. ბუნებრივია, რომ ხელისუფლების ასეთმა (კიდევ ერთხელ სისხლიანმა) შეცვლამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მართლშეგნებაზე, რომელშიც დიდი როლი ითამაშა პრესისა და ტელევიზიის არალოგიკურმა და უშინაარსო პროპაგანდა–აგიტაციამ. მოიშალა ისედაც დრომოჭმული და გაცვეთილი პროფილაქტიკის მექანიზმი, რომელიც მეტ-ნაკლებად ართმევდა თავს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს და მორგებული იყო სოციალისტური

თანაცხოვრების პრინციპებს. ძველის ახლად შეცვლის მექანიზმმა ჩამოყალიბება იწყო ახალი მოქმედი სისხლისსამართლის კანონმდებლობის იურიდიულად კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, მაგრამ დღემდე სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო არ ჩამოყალიბებულა პროფილაქტიკის მწყობრ სისტემად.

ცნობილია, რომ რამდენადაც საზოგადოებაში დაბალია სამართლებრივი ინტელექტის დონე იმდენად დაბალია კრიმონოლოგიის არსისა და როლის გათვითცნობიერება. ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით პრესამ და ტელევიზიამ უნდა ითამაშოს დიდი როლი მოსახლეობის სამართლებრივი ინტელექტის გაცნობიერებაში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ საბჭოური ტელევიზია, რომელიც სისტემატიურად ყოველდღიურ თუ ყოველკვირეულ გადაცემებში აშუქებდა ასეთ თემატიკას: „ადამიანი და კანონი", „ეს არ უნდა მომხდარიყო რომ..," „ოქროპირი" და სხვა. ასეთი ჟანრის გადაცემები საზოგადოებაში ნერგავდა კანონისა და წესრიგისადმი პატივისცემასა და ცივილიზებულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ სოციალურ და მორალურ ფასეულობებთან, რასაც ვერ ვიტყვით დღევანდელ მომრავლებულ ტელეარხებზე. მაგ. გადაცემა „პატრული" მხოლოდ სტატისტიკური, ვიწრო და ვიზუალური თვალსაჩინოებაა, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილის დუხჭირი ცხოვრებისეული პირობების აფიშირება, როგორც დანაშაულის ჩადენის დეტერმინანტები ხშირად ტელეეკრანის მიღმა რჩება. მათი პროგრამები გადატვირთულია ისეთი გადაცემებით, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ძალადობას, მკვლელობებს, პორნოგრაფიას და რაც მთავარია ყოველივე ეს იწვევს მომავალი თაობის სულიერი აღზრდის განადგურებას. დემოკრატიამ და სიტყვის თავისუფლებამ არ უნდა წალეკოს მორალი და კანონთან თუ კანონის წინაშე მორჩილება და თანასწორობა. საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით უნდა დააწესოს მკაცრი კონტროლი და გამოაჯანსაღოს პრესისა და ტელევიზიის მორალური სახე და არსი, რომელიც კრიმინოლოგიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია.

ხელისუფლების სისხლის სამართლის პოლიტიკაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, თუ როგორ უნდა შეიცვალოს რეალურად არსებული მდგომარეობა და ახლო თუ შორეული პრესპექტივით აღკვეთოს ან შეამციროს სამართალდარღვევების ჩადენა. ასეთი შეცვლის წესით კრიმინოლოგია დაკავშირებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებით. საბოლოოდ კი ისინი დამნაშავეობასთან ბრძოლაში შეკავშირებულნი არიან ამ მოვლენის მიზეზების ლიკვიდაციაში და თავიდან აცილების სათანადო ღონისძებების გამომუშავებაში. ასეთი საკანონმდებლო ღონისძიებები ძირითადად გატარდა კორუფციის, ნარკომანიის, კანონიერი ქურდებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ, რომელმაც საფუძველი დაუდო მათ შემცირებას და მოსახლეობაში მართლშეგნების ჩამოყალიბებას, მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არაა. მაშასადამე, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის აღწერილი მსგავსება მიგვითითებს მათ ერთმანეთთან კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. კრიმინოლოგიის მოწყვეტა-დაშორება სისხლის სამართალთან ნიშნავს ამ მეცნიერების გადაქცევას განუსაზღვრელ დელიქტოლოგიაში, ხოლო სისხლის სამართლის მოწყვეტა-დაშორება კრიმინოლოგიისაგან მიგვიყვანს უარყოფით სამართლებრივ და სოციალურ შედეგებთან, რასაც სამწუხაროდ ადგილი აქვს მთლიანად ჩვენს საზოგადოებაში.

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში (ჯერ-ჯერობით დაუხვეწავი პროფილაქტიკური მექანიზმის არ არსებობაში) დანაშაულობათა თავიდან აცილება შემოიფარგლება მხოლოდ ვიზუალურ ფორმებში. არასისტემატურად ან არაჯეროვნად სრულდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 280-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მოხედვითაც: „1. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისას გამომძიებელი ან პროკურორი შესაბამისი ორგანიზაციის თანამდეობების პირს უგზავნის წარდგინებას ამ გარემოებათა გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად", ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად: „წარდგინების განხილვა სავალდებულოა. განხილვის შედეგი ერთი თვის ვადაში უნდა ეცნობოს წარდგენის ავტორს" და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ ერთადერთი ნორმით ამოწურულია კრიმინოლოგიის ფუნქცია. სამწუხაროდ ფაქტია და ამასთან ერთად პარადოქსიცაა ის, თუ კრიმინოლოგიის რა ცოდნით უნდა შეეძლოს პროფილაქტიკური საქმიანობის წარმართვა არა მარტო სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტმა, არამედ ნებისმიერმა სამართალდამცავმა პირმა თუ უწყებამ, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი თუ დაუდევარი დამოკიდებულებით თითქმის ყველა უმაღლეს დაწესებულებათა სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულია სასწავლო საგნად კრიმინოლოგია (კრიმინალისტიკა, სასჯელაღსრულებითი სამართალი) და ჩადებულია არჩევით საგნად. ასეთი დამოკიდებულება კი მეტყველებს არსებულ მდგომარეობასა თუ სამომავლო შედეგებზე. ყოველივე ეს კი მიუთითებს სამართალდამცავების არაკომპეტენტურობაზე და საერთოდ, კრიმინოლოგიის, როგორც მნიშვნელოვანი სამართლის დარგის იგნორირებაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი ზოგადი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოკვეთა, ხელისუფლებასა და კონკრეტულ უწყებეს, დროულად გამოსწორდეს არსებული სოციოკრიმინოლოგენული რელიეფი. ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ სახელისუფლებო და შემდეგ საკანონმდებლო დონეზე, ჩამოყალიბდეს დამოკიდებული სამართალდაცვითი ინსტიტუტი – კრიმინოლოგიური ინსპექცია ან სააგენტო, რომელიც პირველ რიგში იქმნება, როგორც კოორდინატორი საშუამავლო რგოლი სამართალდამცავ უწყებათა (და არა მარტო მათი) შორის. ინსპექტორს ან აგენტს სრული უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს ნებიემიერ საჯარო და იურიდიულ პირთან შესვლისა და აუდიენციის მოწყობაზე, რომლის პროცესშიც გაირკვა ყველა გარემოება და ხარვეზები, რომელიც ქმნის დელიქტის ჩადენის საფუძველს, აფერხებს მის საქმიანობას. ამასთან ერთად, აღმოუჩინოს მათ და რიგით მოქალაქეებს იურიდიული დახმარება და საჭიროების შემთხვევაში გამარტივებული წესით, დროსა და სივრცეში, გაუწიოს შუამდგომლობა ნებისმიერ უწყებაში და ნებისმიერი მუხლის წინაშე და ა.შ.

ამრიგად, წარმოდგენილი მოხსენებით შევეცადეთ ზოგადად აგვეხსნა კრიმინოლოგიის ადგილისა და როლის პრობლემებზე საზოგადოებისა და სამართალდამცავ სისტემაში. სასურველია გათვალისწინებული იქნას ჩამოყალიბებული დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც გააუმჯობესებდა სახელმწიფოში არსებულ სიტუაციას. დღევანდელმა ჩვენმა შეკრებამ და პრობლემების ურთიერთგაზიარებამ სათანადო მუხტი უნდა მისცეს საზოგადოებაში საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების დასაწყისს და წარმოდგენილი მასალებიდან სასურველია მოხდეს სათანადო

წინადადებების და რეკომენდაციების დალაგება-დახასიათება და შემდგომი მსვლელობის მიცემა.

დიდი მადლობა ბ-ნ მალხაზ ბაძაღუას დროული და აუცილებელი ღონისძიების მოწყობისათვის. შეიძლება გავიხსენოთ ლენინის სიტყვები: „ნაპერწკალიდან ალი აინთება".

პეტრე დაუთაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის პროფესორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. დაუთაშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თბ. 2008 წ.
2. Г .А .АВАНЕСОВ – криминология М.1984 г. стр. 51
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ. 2010წ.

კრიმინოლოგიის თანამედროვე პრობლემები საზოგადოებასა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში

რეზუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია კრიმინოლოგიის თანამედროვე პრობლემები საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში. წინა პლანზე წამოწეულია ხელისუფლების კრიმინოლოგიური პოლიტიკის მიმართულების პრობლემები; სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებათა როლი საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში კრიმინოლოგიური ინტელექტის ამაღლებაში; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დიდი ყურადღების გამახვილება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში კრიმინოლოგიის სავალდებულო სასწავლო საგნად ჩართვას; პრესისა და ტელევიზიის გადაცემათა ფორმატის მნიშვნელოვანი რეორგანიზება კრიმინოლოგიური კუთხით; გამოთქმულია აზრი კრიმინოლოგიური ინსპექციის ან სააგენტოს შექმნა, რომელსაც მინიჭებული უნდა ქონდეს ფართო უფლებები კრიმინოლოგიის ფუნქციების გატარებაზე საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში.

Петре Дауташвили

Современные проблемы криминологии в обществе и в работе правоохранительных органов

Резюме

В данной статье рассмотрены современные проблемы криминологии в деятельности общества и правоохранительных органов. На передний план выдвинуты проблемы направления криминологической политики правительства, роль разных ведомств и учреждений и в деле повышения криминологического интеллекта в деятельности общества и правоохранительных органов, а также повышенное внимание со стороны министерств образования и науки для включения в высших учебных заведениях криминологии, как обязательного предмета, значительная реорганизация формата прессы и телевизионных передач, с точки зрения криминологии. Высказано предположение создать криминологическую инспекцию или агентство, которым будут предоставлены широкие права для проведения криминологических функции в деятельности общества и правоохранительных органов.

Petre Dautashvili

Modern Problems of Criminology in society and in activities of law enforcement agencies

Summary

This article discusses the current problems of criminology in the activities of society and law enforcement agencies. At the forefront are advanced areas of criminological issues of government policy; the role of various departments and agencies in improving the criminological thinking in society and in law enforcement agencies as well as increased attention from the Ministry of Education for inclusion in the higher educational institutions of criminology as a compulsory subject; a significant reorganization of the format of Newspapers and television broadcasts from the viewpoint of criminology. Here is suggested creation of a criminological inspection agency, which will be given broad powers to conduct criminological function in the activities of society and law enforcement agencies.

დამნაშავის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები

მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში სწავლობდნენ დანაშაულობის წარმოშობის მიზეზებს. დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის პროგნოზირების სისტემის შექმნა დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან. ყველა დანაშაული და ნებისმიერი ნორმიდან გადახრილი ქცევა საჭიროებს ღრმა ანალიზს და გამოკვლევას, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დამნაშავის პიროვნული თავისებურებების შესწავლა ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. კრიმინოლოგიის განვითარებამ განაპირობა სხვა მრავალი მეცნიერების დარგის ინტერესი დამნაშავის პიროვნების მიმართ. დღესაც აღნიშნული საკითხი კრიმინოლოგიის, კრიმინალისტიკის, სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დამნაშავის კონსტიტუციის ჩამოყალიბებისას ბიოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობის განსაზღვრა.

კონსტიტუცია (constitutio) არის ორგანიზმის მორფოლოგიური და ფუნქციური, მათ შორის ფსიქიკური თავისებურებების ერთობლივობა, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზმის რეაქტიულობას და ყალიბდება მემკვიდრეობის საფუძველზე, გარემო ფაქტორების ზეგავლენის შედეგად. სწორედ კონსტიტუცია განსაზღვრავს ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობას, ორგანიზმის ადაპტაციურ თვისებებს და პათოლოგიურ წინასწარგანწყობას. ცნობილია რომ ორგანიზმის მორფოლოგიური თავისებურებები განაპირობებენ ფუნქციურს და პირიქით, ფუნქციური ცვლილებები იწვევენ მორფოლოგიურ ცვლილებებს.

მეტად მნიშვნელოვანია დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბებისას ძირითადი გამომწვევი ფაქტორის გამოვლენა. ფართო გავრცელება ჰპოვა თეორიამ ბიოლოგიური ფაქტორების შესახებ. ავტორების აზრით, სწორედ ბიოლოგიური ფაქტორები განაპირობებენ ადამიანის განსხვავებულ დამოკიდებულებას და რეაგირების ტიპს გამაღიზიანებელზე და რომ დანაშაული ისეთივე ბიოლოგიური პროცესია, როგორც დაბადება, სიკვდილი და სხვ.

კონსტიტუციური ტიპების პირველი კლასიფიკაცია მოწოდებულია ჰიპოკრატეს მიერ (კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო ადამიანის ტემპერამენტისა და საზოგადოებაში ქცევის ტიპი)

1. ქოლერიკი – ფიცხი, ფეთქებადი, ზოგჯერ თავშეუკავებელი, აგზნებადი, არამდგრადი, ახასიათებს მაღალი შრომის უნარიანობა.

2. სანგვინიკი – ცოცხალი, მძრავი, ემოციური, თავდაჯერებული, თავაზიანი.

3. ფლეგმატიკი – მშვიდი, ნელი, მდგრადი.

4. მელანქოლიკი – დათრგუნული, გაუბედავი, გულჩათხრობილი.

შემდეგ კლასიფიკაციებს საფუძვლად დაედო მორფოლოგიური პრინციპი. კრემჩერი, სპეციალობით ფსიქიატრი, რომელიც განასხვავდება სამ კონსტიტუციურ ტიპს (ათლეტური, პიკნიკური და ასთენიური). კრემჩერი ცდილობდა ადამიანის ორგანიზმის მორფოლოგიური მახასიათებლები

დაეკავშირებინა ხასიათის, ფსიქიკის, ტემპერამენტის თავისებურებებთან და ფსიქიური დაავადების სიხშირესთან.

დღესაც აქტუალურია პავლოვის მიერ მოწოდებული კლასიფიკაცია. იგი, ნერვულ სისტემაში მიმდინარე პროცესების მოქმედების ხასიათის მიხედვით, გამოჰყოფდა შემდეგ ტიპებს:

1. ძლიერს, გაუწონასწორებელს აგზნების სიჭარბით.

2. ძლიერს გაწონასწორებულს, მოძრავს.

3. ძლიერს, გაწონასწორებულს, დინჯს.

4. სუსტს, შეკავების სიჭარბით.

პირველადი და მეორადი სასიგნალო სისტემის სიჭარბის მიხედვით კი – მოაზროვნე და მხატვრული ტიპებს.

მრავალი ავტორის აზრით დამნაშავეს აქვს განსაკუთრებული, განსხვავებული ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური თავისებურებები, რომელთა ერთობლივობა ფატალურად იწვევს დანაშაულის ჩადენას. ჩატარებული კვლევების საფუძველზე მათ გამოიტანეს დასკვნა, რომ დამნაშავის გამოვლენა შესაძლებელია მათი მორფოლოგიური თავისებურებების საფუძველზე (პროპორციების, აგებულების და ა.შ.). გავრცელდა აგრეთვე ქრომოსომული თეორია, დამნაშავეებში 47-ე ქრომოსომის არსებობის შესახებ. ენდოკრინული სისტემის ფუნქციის, ქვეცნობიერის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (სეროტონინის) წამყვანი როლის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე (ლამბროზო, შელდონი, გლუკი, ფროიდი და სხვ.). შემდგომში მრავალრიცხოვანი კვლევებით დადგინდა, რომ შესაძლებელია პიროვნება იყოს აღნიშნული მახასიათებლების მატარებელი, მაგრამ მან დანაშაული არ ჩაიდინოს. აღსანიშნავია, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ადამიანის პიროვნული თავისებურებები ცხოვრების განმავლობაში მუდმივად იცვლება – ხანდაზმული ადამიანის პიროვნული თვისება და ფსიქოტიპი ხშირად განსხვავდება იმ ფსიქოტიპისაგან, რომელსაც იგი მიეკუთვნება ახალგაზრდა ასაკში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მთელი რიგი ავტორებისა უარყოფდა მემკვიდრეობის როლის მნიშვნელობას და ადასტურებდა, რომ ნებისმიერი დანაშაულის გამომწვევი მიზეზია სოციალური ფაქტორების ზემოქმედება და მის ჩადენას მხოლოდ მათი მოქმედება განაპირობებს.

ჩვენი აზრით გასათვალისწინებელია იმ მკვლევარების აზრი, რომლებიც თვლიან, რომ ნებისმიერ დანაშაულს აქვს ორი საფუძველი: 1. მემკვიდრული წინასწარგანწყობა; 2. გარემო ფაქტორების ზემოქმედება, რომლებმაც დამნაშავეს შეუქმნა ისეთი პირობები, რომ გახდა დანაშაულის ჩადენის უშუალო მიზეზი ენდო და ეგზოგენური ფაქტორები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თითოეული დანაშაულის ჩადენის დროს სჭარბობს ერთ-ერთი მათგანის როლი. ამიტომ დამნაშავის პიროვნების შესწავლის დროს უნდა გამოვლინდეს და გაიმიჯნოს წამყვანი, ძირითადი და დამატებითი ფაქტორების როლის მნიშვნელობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის ტიპის დადგენას (ეგზოგენური და ენდოგენური ტიპის დამნაშავე).

ენდოგენური ტიპის დამნაშავეები კრიმინოგენური კომპლექსების მატარებლები არიან. მათ სურვილი აქვთ მიაყენონ სხვას დაზიანება, ჩაიდინონ მკვლელობა, გაიტაცონ პიროვნება. ვინაიდან აღნიშნული ქმედება მათ ანიჭებს სიამოვნებას და ასოცირდება დადებით ემოციებთან, ძლიერი სტიმულია, და ხშირად უარყოფითი გარემოპირობების ზეგავლენით ისინი იღებენ სანქციას იმოქმედონ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მათ, როგორც გაწონასწორებულ, ჯანმრთელ ადამიანებს არ აფერხებთ მიღებული მორალური ნორმები, სოციალური აზროვნება და დანაშაულის უარყოფითი შედეგის შიში. ანუ ენდოგენურ დამნაშავეს აქვს ისეთი შეგრძნებები, შეხედულებები და მიდრეკილებები, რომ უმნიშვნელო გარემო ფაქტორების ზემოქმედებისას მას უჩნდება დანაშაულის ჩადენის სურვილი.

ეგზოგენური ტიპის დამნაშავეებში ნაკლებად არის გამოხატული კრიმინოგენური კონსტიტუცია. როგორც დანაშაულის ჩადენის მიზეზი სჭარბობს გარემო, სოციალური ფაქტორების ზემოქმედება.

ეგზოგენური ტიპის დამნაშავეებს დაქვეითებული აქვთ მორალი ტონუსი და არა აქვთ საკმარისი უნარი და ძალისხმევა მათთვის მძიმე, არახელსაყრელ მდგომარეობიდან გამოვიდნენ არადანაშაულებრივი გზით. ისინი ახორციელებენ დანაშაულს არა იმ მიზნით, რომ დანაშაულებრივი მოქმედებისგან ან და მისი შედეგისაგან მიიღოს სიამოვნება, არამედ მხოლოდ ტანჯვისაგან გათავისუფლების მიზნით. სოციალური ფაქტორების ზემოქმედება არღვევს მათ ჩვეულ, ნორმალურ რითმს და ხშირად მაშინვე განაპირობებს დანაშაულის ჩადენას. ზოგ შემთხვევაში ეგზოგენური ტიპის დამნაშავე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა გზებით ცდილობს შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგებას, შემდგომ უარყოფს ლეგალურ საშუალებებს და იღებს გადაწყვეტილებას ჩაიდინოს დანაშაული.

ანუ დანაშაული არის ის “გამადიდებელი შუშა”, რომელიც გვაძლევს დამნაშავის ძირითადი ნიშნების, მუდმივი ძირითადი ფსიქიკური თვისებების გამოვლენის საშუალებას, კერძოდ როგორ რეაგირებს აღნიშნული პიროვნება გარემო ზემოქმედებაზე, რა საშუალებებს მიმართავს თავის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და იმ კრიმინალურ ფსიქოლოგიურ ელემენტის, დადგენის საშუალებას რომელიც ქმნის დამნაშავის პიროვნების კრიმინოგენულ ბირთვს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ პიროვნებები დაავადებულებები ნევროზით. ნევროზი – პიროვნების საპასუხო რეაქციაა რთულ, მისთვის გადაუჭრელ სიტუაციაზე. ნევროზის ძირითადი გამომწვევი მიზეზი ნეგატიური ფსიქოემოციური ტრავმაა (ნერვული სისტემის პათოლოგიის ტიპობრივი ფორმა ხშირად განმეორებითი ან/და ხანგრძლივი). ნევროზის დროს ირღვევა ძირითადი ნერვული პროცესები – აგზნება და შეკავება, რაც ჩვენის აზრით გათვალისწინებული უნდა იყოს დამნაშავეს პიროვნების შესწავლის დროს ვინაიდან ნევროზი ნერვული სისტემის პათოლოგიის ტიპობრივი სასაზღვრო ფორმაა, სასაზღვრო მდგომარეობა და არ მიეკუთვნება ფსიქიატრიულ დაავადებებს.

ნევროზის ფორმებია:

1. აკვიატებული მდგომარეობა. დამახასიათებელია შიშის შეგრძნება, ფობიები, აკვიატებული აზრები, იდეები. აქვს სურვილი შეასრულოს არაადექვატური მოქმედება – მოკლას საყვარელი არსება, ნათესავი.

2. ისტერიული ნევროზი. დამახასიათებელია ავადმყოფობის იმიტაცია, არაადექვატური ქცევა, აფექტურობა, გაუწონასწორებლობა, ემოციურობა, გულმავიწყობა. ამ სახის ნევროზით დაავადებული პირები ცდილობენ შეიქმნან მნიშვნელოვანი პიროვნების იმიჯი, მაშინ, როდესაც სინამდვილეში დამოკიდებული არიან სხვებზე. მათ შეიძლება უვითარდებათ კრუნჩხვები, პარეზები, სიყრუე, სიბრმავე, ჰაერის უკმარისობა, იმპოტენცია, თვითმკვლელობის სურვილი (სუიციდის იმიტაცია).

3. ნევრასთენია. დამახასიათებელია მომატებული ემოციურობა, მოუთმენლობა, საერთო სისუსტე, შრომისუნარიანობის დაქვეითება.

აღნიშნულს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს (ძებნის და გამოძიების დროს, სასამართლო პროცესის სწორად წარმართვისას, პედაგოგიური თვალსაზრისით, დანაშაულობის ეფექტური პროფილაქტიკის მიზნით უნდა მოხდეს იმ დადებითი თვისებების გამოვლენა, რომლებიც მოითხოვს განვითარებას და გაძლიერებას, აუცილებელია, აგრეთვე, ახალი ელემენტების დამატება, რათა არ შეიქმნას დანაშაულის განხორციელების პირობები და შესაძლებელი გახდეს პიროვნების კომპლექსების ლიკვიდირება.

აღნიშნული ამოცანების განხორციელების მიზნით აუცილებელია კრიმინალურ-ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარება და გავრცელება. პროცესუალურ დოკუმენტებში უნდა იყოს ასახული დამნაშავის ფსიქოლოგიური დახასიათება. გადაწყვეტილების მიღების დროს დამნაშავის ტიპი უნდა გაითვალისწინოს როგორც კრიმინალისტ-დეტექტივმა ისე მოსამართლემ და კანონმდებლებმა. დამნაშავის თავისებურებების განსხვავებების შესწავლა აუცილებელი პირობაა, აგრეთვე, დანაშაულის ეფექტური რესოციალიზაციის მიზნით.

მარინა შაქარაშვილი

გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ქეთევან შავგულიძე

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა
დოქტორი
გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Антонян Ю.М. Криминология. Избранные лекции, М, 2004.
2. Алексеев А.И. Криминология. Курс лекций. М, 2004.
3. Криминология. Под ред. Дж. Ф. Шелли. 2003.
4. Криминальная психология. Преступные типы. Позышев С.В.

დამნაშავის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები

რეზიუმე

კრიმინალური ფსიქოლოგია დანაშაულობას განიხილავს როგორც პიროვნების ფსიქიკური კონსტიტუციის გამოვლინებას, დამნაშავე მეტად რთული ფსიქოტიპით. აუცილებელია დამნაშავის პიროვნული თავისებურებების შესწავლის დროს გამოიყოს მისთვის დამახასიათებელი ძირითადი და დამატებითი ნიშნები, აუცილებელია აგრეთვე ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორის როლის განსაზღვრა და დამნაშავის ტიპის დადგენა (ენდოგენური და ეგზოგენური ტიპის დამნაშავე).

ენდოგენური დამნაშავე კრიმინოგენული კომპლქსის მატარებელია – მას აქვს სურვილი ჩაიდინოს დანაშაული, დაკმაყოფილოს სურვილი და ამით მიიღოს სიამოვნება, რითაც იგი ფიქრობს, რომ გაუმჯობესებს მდგომარეობას ეგზოგენური დამნაშავეს არ შესწევს უნარი მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდეს კანონიერი ქმედებით.

დამნაშავის ტიპის დადგენას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ძებნისა და გამოძიების დროს, სასამართლო პროცესის სწორად წარმართვის მიზნით და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე და ამ მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია კრიმინალურ-ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარება და ფართოდ გავრცელება.

Марина Шакарашвили, Кетеван Шавгулидзе

Психофизиологические особенности преступника

Резюме

Криминальная психология рассматривает преступление, как проявление психической конституции личности. Тип преступника очень сложен, в него входит много признаков, среди которых надо различать признаки основные и дополнительные. Нельзя обойти вопрос о соотношении биологического и социального фактора как причины преступности. Необходимо установить тип преступника (эндогенный и экзогенный преступник). У эндогенного преступника криминогенный комплекс – мысль о желании совершить преступление, получить облегчение положения путем преступления. У экзогенного нет способности к борьбе, они не могут выйти из затруднительного положения непреступным путем. Изучение различия между эндо и экзогенными преступниками чрезвычайно важно и с теоретической и с практической точек зрения. Оно имеет большое значение для правильной характеристики наказуемости в законе, для целей следствия и суда, а также с целью профилактики преступления.

Marina Shakarashvili, Ketevan Shavgulidze

Psychophysiological features of the offender

Summary

Criminal psychology considers crime as a manifestation of psychic constitution of the individual. Offender is a very difficult psycho-type. It includes many features among which we must distinguish between major and minor symptoms, also cannot be avoided the question of the relationship between biological and social factors as causes of crime, also is necessary to establish the type of offender (endogenous and exogenous offender).

Endogenous offender has criminogenic complex - the desire to commit a crime, get relief and pleasure through it, thus he believes that he improves being. Exogenous offender lacks ability to get out of the predicament by lawful way.

Study of the difference between endo and exogenous criminals is extremely important from theoretical and practical viewpoints, for purposes of investigation and trial, for the proper characteristics of criminal liability in the court and by pedagogical perspective as for the prevention of crime.

Due to the urgency of the issue and for the implementation of the objectives it's necessary to further develop Criminal-psychological knowledge and distribute it among wide society.

მიხეილ ბაძაღუა

საზოგადოებრივი აზრი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ

ადამიანთა ტრეფიკინგი თავის გამოვლენის მრავალფეროვნების, ლატენტურობის მაღალი ხარისხის, სამართლებრივად განმარტების სიახლის და სხვა მრავალ მიზეზთა გამო საზოგადოების წევრთა შორის ჯერ კიდევ არაერთგვაროვნად აღიქმება და ბუნდოვანია. ზოგისთვის ადამიანთა ტრეფიკინგი ჯერ ისევ მხოლოდ ქალთა სექსუალური ექსპლუატაციასთან იგივდება, ზოგისთვის მხოლოდ საზღვრის უკანონო გადალახვას წარმოადგენს - საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით და ვისთვის ეს ცნება მხოლოდ მონობასთან ასოცირდება და ან არაფრისმთქმელია.

ამგვარად საჭიროება მოითხოვდა ჩატარებულიყო სოციოლოგიური კვლევა, რათა საზოგადოებიდან მიგვეღო ინფორმაცია მათში ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგთან დაკავშირებით არსებულ წარმოდგენების შესახებ, რაც თავისმხრივ წარმოაჩენდა იმ საჭირო ღონისძიებების რაობას, რომელიც გამოვლენილ არამართებულ წარმოდგენებს და სახელმწიფოს მიერ დაშვებულ შეცდომებს აღმოფხვრიდა და მოსახლეობის ცოდნას ტრეფიკინგის შესახებ აამაღლებდა.

ამგვარი კვლევა ჩვენს მიერ, 2009 წლის დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ "საერთაშორისო იურიდიული ცენტრი"-ს და "იურიდიული კლინიკის" დახმარებით ჩატარდა.

კვლევა ჩატარდა ანკეტირების მეთოდის გამოყენებით, რომელშიც ანონიმურად მონაწილეობა მიიღო 420 რესპოდენტმა. კვლევაში გამოყენებული ანკეტა მოიცავდა 17 პუნქტს და მოგვცა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება:

მან გამოავლინა საჭიროება იმისა, რომ აუცილებელია მოხდეს სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების და მიღებული შედეგების საზოგადოებაში პოპულარიზაცია. რადგან, ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომებით, საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში, რაც საზოგადოების აზრში არ აისახება.

კვლევით გამოვლინდა, რომ სახელმწიფოში გატარებულმა ისეთმა რეფორმებმა, რომლებიც მოსახლეობისთვის თვალსაჩინოა, ჯეროვანი ასახვა ჰპოვეს საზოგადოებრივ აზრში რაც სასაზღვრო კონტროლის მაგალითზე გამოჩნდა: თუ 2007 წლის კვლევით, რესპოდენტების სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებდნენ, უკვე 2009 წლისთვის (ამ დროისთვის მოხდა მნიშვნელოვანი რეფორმები სასაზღვრო პოლიციაში) აღნიშნული პრობლემატიკა აღარ ფიგურირებს.

ასევე გამოვლინდა, რომ მოსახლეობა ჯეროვნად ერკვევა ტრეფიკინგის არსში, აქვს საკუთარი ზოგადი წარმოდგენა, რომ ადამიანთა ტრეფიკინგი საზრდოობს ეკონომიკური სიდუღჭირისგან და სახელმწიფოს სისუსტისგან, მის უუნარობისგან შეასრულოს მასზედ დაკისრებული მოვალეობები.

მოქალაქეები ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ უპირველეს საშუალებად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზღვრების გახსნას და უცხოეთში ლეგალური შრომის შესაძლებლობას ასახელებენ.

რესპოდენტები ჯეროვნად აფასებენ შესაძლებლობას, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე სქესის და ასაკის განურჩევლად. ისინი დიდ როლს ანიჭებენ განათლებას, რადგან მოტყუება იქნა მიჩნეული უმეტესწილად მსხვერპლად გახდომის მიზეზად.

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე, რესპოდენტების მიერ, ხაზგასმულია ტრეფიკინგის შიდასახელმწიფოებრივი ხასიათიც, მომატებული საშიშროებაც და სამართალდამცავი ორგანოების როლი ტრეფიკინგთან ბრძოლაში - რაც არაჯეროვნად მიიჩნევა.

დადებითად შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მხოლოდ რესპოდენტთა ორ პროცენტს ქონდა რაიმე სახის კონტაქტი ტრეფიკინგის მსხვერპლთან, და ისიც ნაწილობრივ პროფესიიდან გამომდინარე. რაც აღნიშნული დანაშაულობის სიმცირეზე, ან მის მაღალ ლატენტურობაზე, მიუთითებს.

საინტერესოა ფაქტი, რომ მამრობითი სქესის არცერთმა წარმომადგენელმა არ მიუთითა, რომ ქონია რაიმე სახის შეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთან და არც იცნობდა ასეთს. რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურეობა გამოიყენება სექს ინდუსტრიის დაწესებულებებში (ყოველშემთხვევაში საქართველოში ამის დამადასტურებელი არავითარი ფაქტი არ მოგვეპოვება).

შედეგების ანალიზში ბევრჯერ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასაკი და საქმიანობა განაპირობებს პიროვნების მიდრეკილებას მხარი დაუჭიროს რომელიმე გავრცელებულ აზრს. ჩვენ შემთხვევაში ხაზი მრავალჯერ გაესვა უფროსი ასაკის წარმომადგნლების თვითდაჯერებულობას, განათლების როლის ჩრდილში მოქცევას და სახელმწიფოს მნიშვნელობის გაზვიადებას. მაშინ როდესაც ახალგაზრდა თაობა და განსაკუთრებულად სტუდენტები ხაზს უსვამენ პიროვნების განათლების დონის მნიშვნელობას და ნაკლებად აკეთებენ აქცენტებს სახელმწიფოს როლზე და პასუხისმგებლობაზე.

რესპოდენტებმა ტრეფიკინგი ჯეროვნად შეაფასეს როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც ტრანსნაციონალურობის მიუხედავად შიდასახელმწიფოებრივი სახეც გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტები არ იცნობენ ტრეფიკინგის ისეთ მნიშვნელოვან სახეს, როგორიცაა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა(შემოხაზა რესპოდენტთა მხოლოდ სამმა პროცენტმა)

თუ 2007 და 2009 წლების სოციოლოგიური კვლევის შედეგებს შევაჯამებთ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რესპოდენტები ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეს აიგივებენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობასთან, ამავდროულად ისინი მათ საქმიანობას არაეფექტურად მიიჩნევენ.

რესპოდენტებს მიუღებლად მიაჩნიათ კანონის გამკაცრების პოლიტიკა, რაც დასტურია გავრცელებული აზრისა, რომ კანონის გამკაცრებით დანაშაულობას ვერ აღმოფხვრი.

როგორც ჩანს, მოსახლეობისთვის ტრეფიკინგში მსხვერპლთა რეკრუტირებაზე წარმოდგენა ძალზედ მარტივ მეთოდებით შემოიფარგლება, რაც მოითხოვს შესაბამის სამართალდამცავ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან რეკრუტირების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელებას, რათა სავარაუდო

მსხვერპლებმა შეძლონ შესაძლო შედეგებზე და მოსალოდნელ საფრთხეებზე წინასწარ პრევენციული ღონისძიებების მიღება.

მიხეილ ბაძაღუა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საერთაშორისო იურიდიული ცენტრის დირექტორი, ჟურნალ "კრიმინოლოგის" აღმასრულებელი რედაქტორი

საზოგადოებრივი აზრი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახე

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია 2009 წლის დეკემბერში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემატიკის ირგვლივ, სტატიის ავტორის მიერ, ქ.თბილისში, ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით მიღებული შედეგები და გამოტანილი დასკვნები.

Mikheil Badzagua

Public Opinion about Human Trafficking

Resume

Article encompasses conclusions and outcomes of sociological research done by the author in the December 2009, in Tbilisi, in order to study public opinion about human trafficking.

Михеил Бадзагуа

Общественное мнение о торговли людьми - о трефикинге

Резюме

В статье передаются данные о проблематике торговли людьми (Трэфикинг), результаты и выводы полученные социологическими исследованиями проведенным автором статьи в 2009 году в городе Тбилиси.

სოფიო ასანიძე

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ცალკეული საკთხები საერთაშორისო და შიდაეროვნულ დონეზე

ტერმინი ფულის „გათეთრება“ (money laundering) პირველად გამოყენებულ იქნა 80–იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში უშუალოდ ნარკობიზნესიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით და ნიშნავს პროცესს, როდესაც ხდება უკანონოდ მიღებული შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რთული პროცესია და მოიცავს სხვადასხვა სახის ოპერაციებს, განხორციელებულს სხვადასხვა მეთოდებით, რომელიც სულ მუდამ იხვეწება და უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება. ამ დანაშაულის განსაკუთრებული საშიშორება იმაში მდგომარეობს, რომ ამ გზით ხდება კრიმინალური ინვესტიციების დაბანდება ლეგალურ ეკონომიკაში და მყარდება დანაშაულებრივი ორგანიზაციების საფინანსო საფუძვლები.

პირველ რიგში თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო იმ რამდენიმე მიზეზსა და პირობაზე, რომელმაც ხელი შეუწყო „ფულის გათეთრების“ როგორც დანაშაულის ჩამოყალიბებას და შემდგომ პროგრესს.

ბერლინის კედლის დანგრევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის „პერესტროიკა“ რის გამოც ქვეყნებმა, რომლებიც ადრე მთლიანად იყვნენ ჩაკეტილნი საერთაშორისო ფინანსური გადაზიდვებისათვის შეცვალეს თავისი კანონმდებლობა ლიბერალური მიმართულებით, რითაც გაუღეს კარები საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ეს იყო მცდელობა იმისთვის, რათა „გაცდენილი დრო აენაზღაურებინათ“ და მოეხდინათ საზღვარგარეთული ინვესტიციების სტიმულირება. ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ინფორმატიკის განვითარებამ იმ თავისუფლებასთან ერთად, რომელიც მინიჭებული აქვს საერთაშრისო კაპიტალს მიემართოს იქით საითაც არის საუკეთესო მოგების მიღების საშუალება, შესაძლებელი გახადეს ეკონომიკის გლობალიზაცია. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ეკონომიკურ–პოლიტიკური ინტეგრაცია გახდა ბაზა ახალი ფინანსური ფორმების განვითარებისათვის, რომლებიც გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს წვდომა საერთაშორისო ბაზარზე. გარკვეულწილად სწორედ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია, სახელმწიფოების გადასვლა საზღვარგარეთული ინვესტიციების სტიმულირების პოლიტიკისა და სავაჭრო ოპერაციების ლიბერალიზაციაზე შესაძლებელია განიხილოს, როგორც ერთ–ერთი ხელშემწყობი პირობა ეკონომიკური დანაშაულობის კერძოდ კი „ფულის გათეთრების“ განვითარებისათვის.

ხელშემწყობ პირობად ასევე შეიძლება განვიხილოთ სიმარტივე, რომლითაც ხდება ფულადი სახსრების ბრუნვაში შეტანა და შესაძლებლობა თავისუფლად და მხოლოდ უმნიშვნელო კონტროლით გადაიტანო კაპიტალი ერთი ქვეყნიდან მეორეში – საბანკო სისტემისა თუ ტრანსნაციონალური ფირმების მეშვეობით. ბანკები კონკურენციის გაწევის მიზნით კლიენტებს სთავაზობენ სულ უფრო და უფრო დახვეწილ, მარტივ და მოქნილ ტექნოლოგიებს, მაგალითად: დისტანციური მომსახურება, რომელიც გულისხმობს კლიენტის

ადგილზე გამოუცხადებლად მისი დავალების შესრულებას – ანგარიშის გახსნას, თანხების ტრანსფერს (გადარიცხვას), ერთი ვალუტიდან მეორეზე გადაცვლას და ა.შ., რაც ბუნებრივია კომფორტს უქმნის დანაშაულებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც სწორედ ამ უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

არაკეთილსინდისიერი ხერხების გამოყენება საერთაშრისო სავაჭრო ოპერაციებში არის სახსრების გადინებისა და ამ გზით მათი გათეთრების ასევე ერთ–ერთი საშუალება. ფულის „გადაქაჩვის“ ძალიან საინტერესო მეთოდი საზღვარგარეთ არის ე.წ. „ტოლინგი“. ამ სქემით მაგალითად ქართული ორგანიზაცია ყიდის საქონელს ყველაზე უფრო ნაკლები საბაზრო ღირებულებით ოფშორულ შუამავალზე, რომელიც შემდგომ ახდენს საქონლის რეალიზაციას მსოფლიო ფასში და ამ ფასნამატს უბრუნებს უკან ძირითად მომწოდებელს.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში საქართველოშიც, ფულის გათეთრების ერთ–ერთი ხელშემწყობი გარემოება არის მჭიდრო კავშირი პოლიტიკურ და საქმიან (ბიზნეს) წრეებს შორის. არსებობს ლობისტური ჯგუფები, რომლებსაც აქვთ კავშირი იმ პოლიტიკურ პარტიებთან რომლებსაც შეუძლიათ მმართველი ჯგუფის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენა. ხშირ შემთხვევაში მეწარმეები (ბიზნესმენები) თავად ხდებიან პოლიტიკური ჯგუფების აქტიური წევრები ან პოლიტიკურ ლიდერებთან დაახლოებული პირები და ესეთ ახალ „ბიზნეს კლას“ ლობისტ პოლიტიკოსებთან ერთად აქვთ საერთო ინტერესები – გამდიდრდნენ ქვეყნის ხარჯზე.

რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც სახელმწიფო–საკანონმდებლო დონეზე აიყვანა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა. სწორედ ამერიკის კანონმდებლობითაა ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობა გათვალისწინებული აღნიშნული დანაშაულისათვის – დაახლოებით 20 წელი. განსაკუთრებულად მკაცრი მოთხოვნებია იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთა პროფესიული საქმიანობაც ფულის გათეთრების კუთხით მაღალ რისკთანაა დაკავშირებული – მათ პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების წარმოებისას ფულის გათეთრების დროს მათ არ ამოძრავებდათ წინასწარი განზრახვა.

ევროპაში კანონმდებლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ამერიკულის საფუძველზე ჩამოყალიბდა, თუმცა ბუნებრივია იმ სხვაობის გათვალისწინებით რაც ზოგადად ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართელბრივ ოჯახებს ახასიათებთ. ევროპული ნორმები უფრო განზოგადებულია, სასჯელის ვადაც ვინაიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არ მიეკუთვნება ძალადობრივ დანაშაულთა კატეგორიას, გაცილებით ნაკლებია – არ აღემატება 10 წელს, ამასთან, ფართოდ გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

აღსანიშნავია, რომ ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ ეს ნორმები გამოიყენა არა იმდენად სამართლებრივი აზროვნების მაღალ დონეზე ასვლის გამო,

არამედ უფრო მორალური ზეწოლის საფუძველზე. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მოწინავე ქვეყნების დამსახურებაა, რომ დღესდღეობით მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაში აისახება „ფულის გათეთრება“ როგორც დანაშაული და აქტიურად მიმდინარეობს მის წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თემა არ არის სათანადო დონეზე შესწავლილი. მართალია ქვეყანა მიერთებულია მთელ რიგ კონვენციებს, არსებობს სამართლებრივი ბაზა – სისხლის სამმართლის კოდექსში ჩადებულია სპეციალური მუხლი, პარლამენტის მიერ მიღებულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონი, არსებობენ შესაბამისი ორგანოები – პროკურატურის სპეციალური დეპარტამენტი და ფინანსური მონიტორინგის სამსახური, მაგრამ ამ მცდელობების მიუხედავად ქვეყანა მაინც ვერ ახორციელებს სათანადო კონტროლს აღნიშნულ დანაშულზე, რასაც მოწმობს მცირე ოდენობის სისხლის სამართლებრივი საქმეები.

ერთის მხრივ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტის არაეფექტურობა გარკვეულწილად გამოწვეულია დანაშაულის შემადგენლობის სიახლით, მეორეს მხრივ კი იმ გარემოებით, რომ საქართველო ისევე როგორც მსოფლიოს არაერთი განვითარებადი სახელმწიფო ორიენტირებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე რათა ამ გზით მოხდეს ეკონომიკის სტიმულირება, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაჭრა. შესაბამისად ქვეყნის პოლიტიკა ამ კუთხით ლოიალურია, რაც ბუნებრივია განიხილება როგორც ხელშემწყობი გარემოება ფულის „გასათეთრებლად“ საქართველოში.

რეკომენდაციები:

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი განხორციელდება:

1. ერთდროულად ორ – ნაციონალურ და საერთაშორისო დონეებზე;

2. კარგად მომზადებული პროფესიონალების დახმარებით, რომელთაც ექნებათ სპეციალური ცოდნა (საერთაშორისო საბანკო სამართლის, სადაზღვევო საქმის, საგარეოეკონომიკური საქმიანობის და ა.შ.) და ამასთან აღჭურვილნი იქნებიან კომპეტენტური ორგანოების მიერ მიწოდებული სათანადო ინფორმაციით;

3. სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია ორგანიზებული დანაშაულობის, ნარკოტიკებით ვაჭრობის, ტერორიზმის და „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ საბრძოლველად;

4. კრიმინოლოგიურად დამუშავდება ამ დანაშაულის ჩადენის ცალკეული სქემის ნიმუშები და კვლევის მეთოდები.

სოფიო ასანიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“, გ.ღლონტი, ო.გამყრელიძე, პ.დაუთაშვილი, გ.ლობჟანიძე, მ.ბაძაღუა, მ.კვაჭაძე, თბილისი 2008 წელი
2. О. Ю. Якимов – Легализация (отмывание) доходов приобретенных преступным путем : уголовно-правовые и уголовно-политические проблемы.
3. В. И. Михайлов – Противодействие легализации доходов от преступной деятельности.
4. В. Молчанова – Легализация (отмывание) денежных средств или иного имущества приобретьенных преступным путем.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ცალკეული საკთხები საერთაშორისო და შიდაეროვნულ დონეზე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ის ცალკეული მიზეზები და პირობები, რამაც ხელი შეუწყო ფულის გათეთრების მოთხოვნის წარმოქმნას და შესაბამისად მის კრიმინალიზაციას. ასევე შედარებულია ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტურობის მიზეზად დასახელებულია ის გარემოება, რომ საკითხი არ არის სათანადოდ დამუშავებული კრიმინოლოგიური თვალსაზრისით. მოცემულია ცალკეული რეკომენდაციები.

София Асанидзе

Отдельные вопросы по легализации доходов преобретенных незаконным путем на международном и внутринациональном уровне

РЕЗЮМЕ

В работе рассмотрены те условия и причины, которые способствовали возникновению потребности отмывания денег и, соответственно, его криминализации. Также произведено сравнение законодательств разных стран в направлении борьбы с отмыванием доходов приобретенных преступным путем. Причиной неэффективности борьбы с указанным преступлением названо несоответственное изучение вопроса с точки зрения криминологии. Даны отдельные рекомендации.

Sopio Asanidze

Particular Issues of Money Laundering on International and National Level

Summary

In the article there are considered matters and reasons that farther origin needs of money laundering. Also there is comparison of legislation of different countries about this matter. Cause of inefficiency struggle against this crime is not corresponding scrutiny of different issues from the sight of criminology. There are also given some recommendations.

რუსუდან ვარსიმაშვილი

საზოგადოებრივი აზრის გავლენა კრიმინოლოგიის ისტორიულ განვითარებაზე

„ადამიანი მონასტრის კედელზე გამოხატული ფრესკა არ არის ერთი კუთხიდან რომ უმზირო, მას უნდა გარშემო შემოუარო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც უკეთესად იმზირება.”

საზოგადოებას ქმნის თითოეული ჩვენგანი, ხოლო საზოგადოებისაგან იქმნება ის გარემო პირობები რაშიც თითოეულ ჩვენგანს გვიწევს ცხოვრება. სამართლებრივი ამინდს კი საკმარისზე მეტი ადგილი უკავია საზოგადოების განვითარებაში. სამართლებრივი ჩარჩოებიდან გადახვევის შემდეგ კი დამნაშავეს თავად წარმოქმნის საზოგადოება, სწორედ საზოგადოება უნდა ზრუნავდეს რათა თითოეულ ადამიანს არ შეუქმნას ის გარემო, რომ შემდეგ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მისი დანაშაულისკენ მიდრეკილება ან პირიქით, ვინაიდან დამნაშავეებად არ იბადებიან!

როდესაც საუბრობენ დანაშაულზე, როგორც მომხდარ ფაქტზე, წინა პლანზე გამოდის მხოლოდ ობიექტური ნიშანი ობიექტური მხარისა და უპირველეს ყოვლისა – მომხდარის შედეგი. თუმცა დანაშაული როდი წარმოადგენს გაყინულ სტატისტიკურ მოვლენას, არამედ ეს არის პროცესი, რომელიც ვითარდება დროსა და სივრცეში. ამგვარად შესაძლებელია გამოვყოთ ობიექტური მხარის სამი ძირითადი, მეტნაკლებად საერთო ეტაპები:

1. საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა (უმოქმედობათა) გარეგანი მხარე.
2. გარემომცველ სამყაროში მათ მიერ შექმნილი ცვლილებები.
3. კანონმდებლობით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ზარალის მიყენება.

ადამიანის მიერ გაცნობიერებული ქმედება, რაც აინტერესებდა და აინტერესებს კანონმდებლობას ყოველთვის იმართება სუბიექტის ფსიქოლოგიური თავისებურებებით, მისი ნებისყოფით, მოწმდება მის ცნობიერებაში ამა თუ იმ ხარისხით. ამ დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ თვით ადამიანის ეს ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მისი მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისადმი, სხვა ხალხისადმი და საერთოდ მთლიანი საზოგადოებისადმი ყალიბდება ცხოვრების პირობებით. გარდა ამისა, უშუალო საბაბი, მოცემულ მომენტში განსაზღვრული ქმედებისა, მათ შორის დანაშაულიც დევს იმ გარემო პირობებში, რომელშიც იმყოფება პიროვნება.

ყოველი დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით შეიძლება განვასხვაოთ გარკვეული სისტემის მიხედვით. შედარებით საშიშ დანაშაულად ითვლება ის დანაშაულობანი რომელიც მიმართულია საზოგადოების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა რომ დანაშაულობანი მრავალფეროვანია და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნიშან-თვისებებით, ყველა ეს ნიშნები შეიძლება შევაერთოთ ერთი განსაზღვრული სქემის სახით და განვალაგოთ ისინი სამ ჯგუფად:

1. ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის ობიექტს, ესე იგი რომლებიც იწვევენ დანაშაულს.
2. დანაშაულის სუბიექტის დამახასიათებელი ნიშნები, ესე იგი ვინც ჩადის დანაშაულს.

3. ნიშან-თვისებები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის ობიექტურ მხარეს, ესე იგი ჩადენილი ქმედებანი.

მართალია დანაშაულობის მიზეზების მეცნიერულ შესწავლას დასაბამი მიეცა მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე და ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერება და კვლევის ობიექტი რომელსაც „კრიმინოლოგია" უწოდეს, მაგრამ ამ პრობლემას იხილავდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები და იურისტები.

ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა შორის ყველაზე საინტერესოა პლატონისა და არისტოტელეს აზრები დანაშაულის მიზეზების შესახებ. პლატონი დანაშაულის მიზეზებს დამნაშავის პიროვნებაში ხედავს, ხოლო არისტოტელე კი სუბიექტური მიზეზების გვერდით ცნობს დანაშაულის ობიექტურ მიზეზებსაც. ასეთ მიზეზებად მიიჩნევს უწესრიგობას სახელმწიფოში, მექრთამეობას და სიღარიბეს. ციცერონისათვის კი დაუსჯელობის იმედი წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზსა და სტიმულს. მონტესკიე კი 1748 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ ტრაქტატში „კანონთა სულის შესახებ", დანაშაულის არსებობას უკავშირებს ადამიანთა საზოგადოების არსებობის პირობას, ერთობლიობას და ეკონომიკურ უთანასწორობას.

ასე მოდიოდა XIX საუკუნემდე, განსაკუთრებით საინტერესოა ამ პერიოდისათვის თუ როგორ უყურბდნენ დანაშაულის მიზეზებს სისხლის სამართლის სხვადასხვა სკოლებში. პირველი სისხლის სამართლის სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო ეგრეთ წოდებული კლასიკური სკოლა. ცნობილია აგრეთვე ამ სკოლის სამი ძირითადი მიმართულება: გერმანული, ფრანგული და ინგლისური.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კლასიკური სკოლის გერმანული მიმართულება, რომელიც ეყრდნობოდა კანტის მიერ ჩამოყალიბებულ პასუხისმგებლობის ინდერტერმინისტულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ადამიანის ნება სრულიად თავისუფალია, დანაშაული კი არის ამ თავისუფალი ნების გამოვლინება. გერმანული სკოლა არამარტო არ სწავლობს დანაშაულის მიზეზებს, არამედ სრულიად უარყოფდა ასეთი მიზეზების არსებობას. სწორედ მის საპირისპიროდ გამოვიდა სისხლის სამართლის ანთროპოლოგიური სკოლა, რომელმაც უარყო კლასიკოსთა ინდერტერმინისტული შეხედულება დანაშაულის შესახებ და მისი ფესვების ძებნა დამნაშავის პიროვნებაში დაიწყო, რამაც საკმაოდ დიდი არეალი გაუხსნა კრიმინოლოგიურ კვლევას. ამ სკოლის წარმომადგენლები არიან: ჩეზარე ლომბროზო, ენრიკო ფერი და სხვა. მათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ენრიკო ფერი. იგი დანაშაულის ფაქტორებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფდა - ანტროპოლოგიური ფაქტორები, ფიზიკური ფაქტორები, სოციალური ფაქტორები;

გარდა ამისა იზიარებდა ლომბროზოს მოსაზრებას თანდაყოლილი დამნაშავეების შესახებ. ფერის ეკუთვნის დამნაშავეთა ანტროპოლოგიური კლასიფიკაციაც. იგი განასხვავებს დამნაშავეთა ხუთ ჯგუფს: შეშლილ დამნაშავეებს, თანდაყოლილ ანუ გამოუსწორებელ დამნაშავეებს, პროფესიონალებს, დამნაშავეებს შმაგი ეფექტით და შემთხვევით დამნაშავეებს.

ფერიმ დაამუშავა დანაშაულობის კრიმინოლოგიური თეორია, მათი თავიდან აცილების სოციალურ ღონისძიებათა შესახებ. ეს ღონისძიებებია:

ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო, საკანონმდებლო, რელიგიური, აღმზრდელობითი, საოჯახო-სამართლებრივი და ადმინისტრაციული. მიუხედავად იმისა, რომ ფერი არამარტო აღიარებს დანაშაულის სოციალურ მიზეზებს, არამედ აგებს ამ მიზეზების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემას, იგი მაინც ანთროპოლოგად რჩება, რადგან მისი აზრით, მხოლოდ სოციალურმა ფაქტორებმა ანთროპოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების გარეშე არ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაული. XIX საუკუნის 90-იან წლებში სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღმოჩნდა ახალი მიმართულება – სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის სახელწოდებით. თუ კი ანტროპოლოგიური სკოლა ამტკიცებდა, რომ დამნაშავე იბადება, სოციოლოგიური სკოლის მიმდევრები ფიქრობდნენ რომ დამნაშავე იქმნება გარემო პირობების ზემოქმედებით. სოციოლოგიური სკოლის მომხრეების აზრით სისხლის სამართლის მეცნიერება უნდა იმყოფებოდეს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ რამდენიმე ნაწილად, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სისხლის სამართლის მეცნიერებას: 1.სისხლის სამართალი, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით ანუ სისხლის სამართლის კანონმდებლობას და ზოგად ცნებებს. 2.კრიმინოლოგია, რომელიც შეისწავლის დანაშაულის მიზეზებს. 3.სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელიც კანონიერებაზე დაყრდნობით შეისწავლის დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებებს. სოციოლოგიური სკოლა დანაშაულობას ხსნის სხვადასხვა სახის ფაქტორთა ერთობლიობით, იგი იძლევა დანაშაულობის ფაქტორების ორწევრიან და სამწევრიან კლასიფიკაციას.

ორწევროვანი კლასიფიკაციის მომხრეები აღიარებენ დანაშაულის ინდივიდუალურ და სოციალურ ფაქტორებს, სამწევროვანი კლასიფიკაციის მომხრეები კი ფიზიკურ, ინდივიდუალურ და სოციალურ ფაქტორებს. ფიზიკურ ფაქტორებში იგულისხმება – გეოგრაფიული გარემო, ჰავა, წყალი და ა.შ ინდივიდუალურში კი – სქესი, წლოვანება, სოციალურში – უმუშევრობა, ალკოჰოლიზმი და ასე შემდეგ.

სოციოლოგიური სკოლის მომხრეები გადამწყვეტ მნიშვნელობას სოციალურ ფაქტორებს ანიჭებენ. ამ სკოლის მამამთავრად ითვლება გერმანელი კრიმინალისტი ფრანც ლისტი, მისი აზრით დანაშაულობა შეიძლება განვიხილოთ არამარტო ტექნიკურ-იურიდიული ასპექტით, არამედ ბუნებით - მეცნიერული ასპექტითაც. დანაშაულის ბუნებით – მეცნიერული და კრიმინოლოგიური შესწავლის ამოცანაა ახსნას დანაშაული, როგორც ცხოვრებისეული მოვლენა, როგორც სოციალურ სამყაროში მომხდარი ფაქტი, შეისწავლოს ამ ფაქტის მიზეზები.

დანაშაულობის ამგვარი შესწავლა უნდა წარმოებდეს ბიოლოგიური და სოციოლოგიური გზებით. ლისტის აზრით, დანაშაული ბილოგიური თვალსაზრისით არის მოვლენა ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში, რაც უნდა აიხსნას მისი ინდივიდუალური მიზეზებით. მისი საპირისპიროა სოციოლოგიური შესწავლა დანაშაულისა, რომელიც განიხილება, როგორც მოვლენა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აიხსნება ამ საზოგადოების ცხოვრების პირობებით.

რუსუდან ვარსიმაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
დოქტორანტი

საზოგადოებრივი აზრის გავლენა კრიმინოლოგიის ისტორიულ განვითარებაზე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საზოგადოებრივი აზრის გავლენა კრიმინოლოგიის ისტორიის განვითარებაზე. ადამიანის მიერ გაცნობიერებული ქმედება, რაც აინტერესებდა და აინტერესებს კანონმდებლობას ყოველთვის იმართება სუბიექტის ფსიქოლოგიური თავისებურებებით, მისი ნებისყოფით, მოწმდება მის ცნობიერებაში ამა თუ იმ ხარისხით. გარდა ამისა, უშუალო საბაბი, მოცემულ მომენტში განსაზღვრული ქმედებისა, მათ შორის დანაშაულიც დევს იმ გარემო პირობებში, რომელშიც იმყოფება პიროვნება.

Русудан Варсимашвили

Влияние общественного мнения на историческое развитие криминологии

Резюме

В данной работе рассмотренно влияние общественного мнения на историческое развитие криминологии. Осознанное поведение человека, которое интересовала и интересует законадательство, всегда управляется психологическими особенностями человека, его силой воли проверяется в его сознании в том или ином качестве. Кроме того, конкретная причина того или иного действия, в том числе и преступления лежит в тех окружающих условиях, в которых находится личность.

Rusudan Varsimashvili

Influenceof the public opinion on the historical development of the Criminology

Summary

The paper is considering the influence of the public opinion on the historical development of criminology. Conscious human behavior, which was interesting and is yet interesting for legislation, is always controlled by the psychological characteristics of human, his willpower is tested in his mind, in one capacity or another. In addition, the specific reason of any action, including the crime lies in those environments in which exists the personality.

მიხეილ გაბუნია

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პოლიტიკა გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან კონცეფციის შემუშავებაში, სადაც ასახული უნდა იყოს დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ტაქტიკა და სტრატეგია. იგი მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: სისხლისსამართლებრივს და კრიმინოლოგიურს. ამათგან პირველი მიმართულება დაკავშირებულია მატერიალური სისხლისსამართლებრივი, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობის განვითარებასთან. მეორე მიდგომა, კრიმინოლოგიური - მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულობის განვითარების კანონზომიერებების სისტემურ გაანალიზებას, დანაშაულობის თავიდან აცილებას, დანაშაულის მსხვერპლთათვის სათანადო მატერიალური და ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენას, ასევე, ნორმალური პირობების შექმნას იმ პირთათვის, რომლებიც განთავისუფლებულები არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, რათა საშუალება მიეცეთ დაუბრუნდნენ ნორმალურ, კანონიერ ცხოვრებას.[1]

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის დანიშნულებაა გააკონტროლოს სოციალური პროცესები, მათი ნეგატიური გამოვლინებები, რეკომენდაციები შესთავაზოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას თუ როგორ უნდა გადაილახოს ესა თუ ის პრობლემა; ასეთი რეკომენდაციები კი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური და რეალური, როდესაც მათში გათვალისწინებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების რეალური შესაძლებლობანი კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებაში (ვთქვათ ეკონომიკური, ფინანსური და ა.შ).

დღეისათვის, დანაშაულობაზე რეაგირების საშუალებები ორიენტირებულია ძირითადად ტაქტიკური ამოცანების გადაჭრაზე, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სტრატეგიული მიდგომა თითქმის არ შეიმჩნევა, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს ენიჭება პრიორიტეტული მნიშვნელობა.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ტაქტიკური ზომების არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი დაფუძნებულია პრობლემის ერთჯერად გადაწყვეტაზე, რაც გამოიხატება დანაშაულში ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირის საზოგადოებისაგან იზოლაციაში, ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს პატიმრობასთან. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ სისხლისსამართლებრივი რეპრესია, როგორც დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის საშუალება უშედეგოა. მისი საშუალებით დანაშაულის ჩადენას ავიცილებთ მხოლოდ იმ ვადებში, რა ვადითაც პირი იზოლირებული იქნება გარე სამყაროსაგან, ხოლო თავისუფლების აღკვეთით ვერ მივაღწევთ მისი შემდგომი საქციელის კორექტირებას.

ჯერ ერთი პიროვნებათა ხანგრძლივი ყოფნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იწვევს შეუქცევად ცვლილებას მათი ფსიქიკისას, რის შემდეგაც სასჯელმოხდილი პირების უმრავლესობა აგრძელებენ კრიმინალურ საქმიანობას უფრო სრულყოფილად და პროფესიონალურ დონეზე, ვიდრე ამას აქამდე სჩადიოდნენ და შესაბამისად საზოგადოებას აყენებენ უფრო მეტ ზიანს გათავისუფლების შემდეგ; ხოლო მეორეს მხრივ სისხლის სამართლის რეპრესია წარმოშობს ახალ დანაშაულებს, რომლებიც ჩაიდინება

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, რაც ხშირ შემთხვევაში ლატენტურ ხასიათს ატარებს.

მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულობა, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენა, სათანადოდ აისახოს საზოგადოების მსოფლმხედველობაში, შესაბამისად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულობაზე (სოციალური კონტროლი) არ უნდა იყოს უშედეგო. აუცილებელია, სახელმწიფომ და საზოგადოებამ მიმართონ ისეთ ზომებს, რომლებიც მოიტანენ მეტ სარგებელს, ვიდრე ზიანს; ასეთებად კი, უპირველეს ყოვლისა, ალტერნატიული იუსტიციის ფორმირება და სასჯელის ჰუმანიზაციის პროცესების ტენდენცია გვესახება.

სოციალური კონტროლის მექანიზმების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ჩავწვდომოდით იმ ჭეშმარიტებას, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელები მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შემუშავებული სტრატეგია და დანაშაულობაზე ზემოქმედების არარეპრესიულული რეაქციის ნორმატიული საფუძვლები. დღეისათვის, დანაშაულობის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის გატარება საჭიროებს კრიმინოლოგთა აქტიურ ჩარევას.

მეცნიერული თვალსაზრისით, თეორიულად, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი თანმიმდევრულად და ეტაპობრივად ხორციელდება, რაშიც მთავარ როლს დანაშაულობის წინააღმდეგ ზომების ჰუმანიზაცია თამაშობს.

აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ რეგიონალური პროექტების განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კრიმინოლოგიური თეორიები, კრიმინოლოგიის დასკვნები მაქსიმალურად აისახოს სახელმწიფოსა და საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობაში. თანამედროვე პირობებში, საქართველოში კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია გატარდეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, კერძოდ:

- სისხლის სამართლის რეპრესიის მინიმუმამდე დაყვანა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გათავისუფლება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთაგან. ჩვენი აზრით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ისეთ ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დაკვალიფიცირება, როგორიცაა მაგალითად „ცემა“ (სსკ. 125 მუხლი), „ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება“ (სსკ. 176 მუხლი), შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა (სსკ. 173 მუხლი), ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (სსკ. 259 მუხლი) და სხვა მსგავსი ქმედებები, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ დანაშაულის სტატუსი და რეგულირდებიან სისხლის სამართლის წესით. მსგავსი ქმედებები საზოგადოებისათვის უმნიშვნელო საფრთხეს წარმოადგენენ და ამდენად აბსოლუტურად საკმარისია მათ მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სამოქალაქო სამართლებრივი ზომების გამოყენება. - სასჯელის გარდაუვალობის პრინციპის პრაქტიკული რეალიზება სოციალურ ცხოვრებაში, რომელიც თანაბრად უნდა შეეხოს ყველა მოქალაქეს და არ უნდა იქნას გათვალისწინებული პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური თუ თანამდებობრივი სტატუსი; - სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა განთავისუფლება მცირე მნიშვნელობის ქმედებათა გამოვლენისა და გამოძიებისაგან, აღნიშნული სტრუქტურების ძალებისა და საშუალებების

მიმართვა იმ ქმედებებისაკენ, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ მომეტებულ სოციალურ საშიშროებას. - პოლიციის ლიბერალურ-დემოკრატიული რეფორმა, პოლიციის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა და მათი დაცვა „დანაშაულობასთან ბრძოლის“ ფორმით. - სასამართლოს ლიბერალურ - დემოკრატიული რეფორმა, სასამართლოს მთავარი ამოცანაც სწორი კანონიერი, ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში მდგომარეობს, რაც, ასევე, „დანაშაულობასთან ბრძოლის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. - ანტიკორუფციული პროგრამების შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივ საფუძველზე, კორუფციის პრობლემა უმნიშვნელოვანესია ქართული საზოგადოებისათვის და მისი ეფექტურად გადაჭრის გარეშე, აზრი არ აქვს სხვა რეფორმების განხორციელებას; - დანაშაულობის თავიდან აცილების პრიორიტეტის დამკვიდრება, უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დანაშაულობაზე სოციალურ კონტროლს, ვიდრე უკვე მომხდარი დანაშაულის გამოძიებას. - ალტერნატიული იუსტიციის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებს გარეთ; - მოსახლეობაში ლიბერალურ-დემოკრატიული სამართალშეგნების ფორმირება, რაც მეტად რთული, შრომატევადი, მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცესია, თუმცა ამავე დროს საკმაოდ აუცილებელიც.[2]

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის აღნიშნული ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

მიხეილ გაბუნია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის
დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1) Д.А. Шестаков. „Криминология“. СПТ. 2006.
2) Я.И. Гилинский. „Девиантность, Преступность, Социальный контроль“. СПТ.2004.

დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა

რეზიუმე

დღევანდელ დღეს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად, გვესახება ქვეყანაში სათანადო კრიმინოლოგიური ბაზის შექმნა, რის საფუძველზეც განხორციელდება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შემუშავება. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, რომ აღნიშნული მიმართულებით, კრიმინოლოგიის დასკვნები მაქსიმალურად აისახოს სახელმწიფოსა და საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობაში.

Михеил Габуниа

Суть и значение политики социального контроля над преступностью

Резюме

На сегодняшний день, одной из важнейших задач государственной политики, является создание в стране криминалогической базы, на основе которой, будет осуществляеться разработка теоретических и практических аспектов социального контроля над преступностью. В процессе строительства правового государства, обязательным предусловием является, то, чтоб упомянутое направление, в частности, криминологические заключения, максимально отобразили бы в практической деятельности государства.

Mikheil Gabunia

The essence and value of the policy of social control over crime

Abstract

Nowadays, the one of the most important tasks in the state politics is the creation of appropriate criminological base, according which would be carried theoretical and practical research of the crimes and social control theory. In the process of Legal state building the necessary precondition is that criminological conclusions should be reflected in the practice of the State and society.

რომან ჯახიაშვილი

კრიმინოლოგიური ხედვები კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში

ყველა დროში სამართლებრივი რეგულირების სფეროში ხვდება ის, რაც ფასეულობას წარმოადგენს ადამიანიასათვის, საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის. დღეს კი ადამიანთა ცხოვრებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ინფორმაცია თამაშობს. საქმე იმაშია, რომ XX საუკუნიდან მოყოლებული კაცობრიობა განვითარების ახალ – ინფორმაციულ ეპოქაში გადავიდა. ინფორმაციული საზოგადოება – პოსტინდუსტრიალური საზოგადოების კონცეფციაა; ცივილიზაციის განვითარების ახალი ისტორიული ფაზა, რომელშიც წარმოების მთავარ პროდუქტად გამოდის ინფორმაცია და ცოდნა. ინფორმაციული საზოგადოების განმასხვავებელი ნიშნებია:

ცოდნის და ინფორმაციის როლის გაზრდა საზოგადოების ცხოვრებაში

ინფორმაციული კომუნიკაციების, პროდუქციის და მომსახურების წილის გაზრდა შიდა პროდუკტში.

გლობალური ინფორმაციული საზოგადოების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს: ა) ადამიანების ეფექტურ ინფორმაციულ ურთიერთობას, ბ) მათ შეღწევას მსოფლიო ინფორმაციულ რესურსებში და გ) ინფორმაციულ პროდუკტებში და მომსახურებაში მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.[1]

ინფორმაცია გადაიქცა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რესურსად, ნებისმიერი ქვეყნის მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად, რომლის მდგომარეობაც ბევრწილად განსაზღვრავს ამ ქვეყნის მდგომარეობას საერთაშორისო არენაზე. ტექნოლოგიების განვითარებას ყოველთვის მოყვება დანაშაულებრივი ყოფაქცევის ახალი ფორმების გაჩენა. ახალი შესაძლებლობები, რომლებსაც იძლევიან ინფორმაციული ტექნოლოგიები, მათი ფართომასშტაბური გავრცელება და ხელმისაწვდომობა ამ სფეროს ძალზედ მომხვიბლელს ქმნის კრიმინალებისათვის. ტელეკომუნიკაციური ქსელების სწრაფი განვითარება, მრავალრიცხოვანი ინფორმაციული ქსელების გაჩენა, უფრო მძლავრი ტექნიკური საშუალებების - ყოველივე ეს ქმნის პირობებს, რომლებიც უადვილებენ ბოროტმოქმედებს დანაშაულის ჩადენას. გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში წარმოიშვა დანაშაულის განსაკუთრებული სახე, რომელიც მიიღო კომპიუტერულის სახელწოდება. როდესაც ჩვენ კომპიუტერული დანაშაულის ობიექტად ინფორმაციულ უსაფრთხოებას ვასახელებთ, ამით ჩვენ რამე აბსტრაქტულ ცნებას კი არ ვიცავთ, არამედ რეალურ ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფს თუ იურიდიულ პირს, რომელთა კეთილდღეობა ბევრად არის დამოკიდებული ინფორმაციული სისტემების გამართულ მუშაობაზე.

საქართველოში 2000 წლის 1 ივნისიდან დანაშაულად ითვლება გარკვეული ქმედებები კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში, რომლებიც ხელს უშლიან კომპიუტერული ინფორმაციის და ინფორმატიული ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენებას. 2006 წლიდან ქართულ სისხლის სამართალში ჩდნება კიბერტერორიზმის ცნება. 2008 წელს საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს

---

1 http://glossary.ru/cgi-bin/gl_sch2.cgi?RIt(uwsg.outtul!uh$lxyiu

კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპულ კონვენციას. 2009 წლის 17 ივლისის საქართველოს კანონით "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ" იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში იქმნება მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის საქმიანობის ერთ-ერთო საგანია ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) და ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება.[1]

ტერმინი "კომპიუტერული დანაშაული" პირველად გაჩნდა ამერიკულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებულ იქნა პირველი დანაშაულები. დასავლელი კრიმინოლოგების აზრით, ეგმ არის ანგარებითი დანაშაულის ჩადენის ყველაზე უნივერსალური საშუალება. საერთოდ ანგარებითი მოტივი კომპიუტერული დანაშაულისთვის ყველაზე დამახასიათებელია, მაგრამ 90-იან წლებიდან მოყოლებული პოლიტიკური მოტივები უფრო და უფრო წინ მოიწევენ. "ნატოს" სტატისტიკურ მონაცემების მიხედვით კომპიუტერული დანაშაულის მოტივების პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

66% - ანგარება

17% - პოლიტიკური მოტივები (შპიონაჟი, საბოტაჟი და ა.შ.)

7% - ცნობისმოყვარეობა

5% - ხულიგნური ქვენაგრძნობები

5% - შურისძიება[2]

როგორც ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, პირდაპირი ეკონომიკური ზიანი, რომელსაც კომპიუტერული დანაშაულები იწვევენ უკვე ესადაგება იმ მოგებას, რაც კომპიუტერის დამკიდვრებას მოყვება, ხოლო ამგვარი დანაშაულების მიერ გამოწვეული სოციალური და მორალური ზიანი კი არც ექვემდებარება დათვლას. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სახის დანაშაულები ხასიათდებიან მაღალი ლატენტურობით: კომპიუტერულ დანაშაულთა მხოლოდ 10..15% შესახებ ხდება ცნობილი, ვინაიდან ორგანიზაციები, რომლებიც დაზარალდნენ მაგდაგვარი დანაშაულების ჩადენის შედეგად, ცდილობენ დამალონ შესაბამისი ინფორმაცია, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს მათი რეპუტაციის შელახვა.[3]

საქართველოში კომპიუტერული დანაშაულის ლატენტობა საკმაოდ მაღალია. 2001-2008 წლებში კომპიუტერული დანაშაულის სულ 6 შემთხვევა დაფიქსირდა. უფრო მეტიც აქედან გახსნილი სულ 2 აღმოჩნდა.

---

1 2009 წლის 17 ივლისის საქართველოს კანონი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ" მუხლი 5, პუნქტი 2.

2 Александр Романов, Владимир Елтышев. Правовая защита компьютерных технологий от преступных посягательств. RESEARCH and TECHNOLOGY – STEP into the FUTURE 2006, Vol. 1, No 3 стр 138

3 С. Л. Сибиряков. Криминологическая характеристика и профилактика компьютерных преступлений. Волгоград. 1999 gv. 4.

სამწუხაროდ ჩვენ ქვეყანაში, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაში ბოლომდე ვერ იქნა გათვითცნობიერებული კომპიუტერული დანაშაულის საშიშროება, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ დამოუკიდებელი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა სამი მუხლი (284, 285, 286), რაც პრინციპში არ შეესაბამება ამ პრობლემის დღევანდელ მასშტაბებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხვალინდელ პერსპექტივებზე. ფაქტობრივად ეს ნორმები ძალიან მწირედ გადმოცემენ დღევანდელ მდგომარეობას და უფრო მეტად ასახავენ კომპიუტერული ერის გარიჟრაჟის რეალიებს.[1]

კომპიუტერული დანაშაული არ იცნობს სახელმწიფო და სხვა ადმინისტრაციულ საზღვრებს. კომპიუტერული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს დედამიწის ნებისმიერ წერტილში სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის გარეშე. ვინაიდან კომუნიკაციური ქსელები მოიცავენ თითქმის ყველა ქვეყანას, წარმოადგენენ გლობალურ გარემოს, რაც მომხმარებელს აძლევს უნიკალურ საშუალებას აძლევს განახორციელოს გარკვეული, მათ შორის დანაშაულებრივი ქმედებები იმ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, სადაც იგი იმყოფება. მოცემულ ეტაპზე შეიმჩნევა სერიოზული ტენდენცია, მიმართული კომპიუტერული დანაშაულის "ორგანიზებულობისაკენ" და სახელმწიფო საზღვრების გარეთ გასვლისაკენ. კომპიუტერული დანაშაულის თანამედროვე საშიშროების და საერთაშორისო საზოგადობაზე მისი ნეგატიური ზეგავლენის არანაკლებ სახიფათო ტენდენციის გათვალისწინებით გაეროს ფარგლებში რეგულარულად ტარდება სიმპოზიუმები კომპიუტერული დანაშაულის აღკვეთასა და პროფილაქტიკაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსნებეში ნათქვამია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფები ახალი ტექნოლოგიური საშუალებების მეშვეობით უკანონოდ ითვისებენ მილიონობით თანხებს, ათეთერებენ უზარმაზარ ფულად სასხრებს, თავს არიდებენ გადასახადებს, კომპლექსურად უდგებიან სხვადასხვა დანაშაულს მოსამზადებლად, ჩასადენად და შესანიღბად.[2] სისხლისამართლებრივი დარღვევების საკითხებზე გაეროს დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ორგანიზებული დანაშაული აშშ-ში წლიურად 1 ტრილიონი დოლარის სუფთა მოგებას იძლევა. ექსპერთა აზრით, ეს მიღწეულ იქნა გლობალურ ქსელებში ინფორმაციის საიდუმლო გაცვლის მეთოდების ეფექტური გამოყენებით.

XX საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთის ქვეყენების სამართალდამცველი ორგანოების პრაკტიკა მოწმობდა, რომ გერმანიაში კომპიუტერების გამოყენებით 4 მილიარდ გერმანულ მარკას იტაცებდნენ, საფრანგეთში – ერთ მილიარდ ფრანკს, ხოლო აშშ-ში რამოდენიმე მილიარდ დოლარს. 2004 წელს ინგლისის ანალიტიკური კომპანიის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მსოფლიომ 2003 წელს კომპიუტერული დანაშაულისაგან მიიღო 132 მილიარდი დოლარზე მეტი ზარალი (2002-ში ეს ზარალი 48,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა., 2004 წელს კი ზარალი 411 მილიარდ დოლარს მიაღწია.

---

[1] შეადარეთ С. Л. Сибиряков. Криминологическая характеристика и профилактика компьютерных преступлений. Волгоград. 1999 gv. 4.

[2] Доклад генерального серктаря ООН. Воздействие организованной преступной деятельности на общество в целом. Второя сессия Комиссии по предотвращению преступности и уголовному правосудию Экономического и социального совета ООН 13-23 апреля 1993 года

ზემოაღნიშნული მოწმობს ქართველი კრიმინოლოგების მიერ კომპიუტერული დანაშაულის ყოველმხრივი შესწავლის საჭიროებას უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით. კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლისთვის შემუშავებული თეორიული და პრაქტიკული ზომები უნდა გახდეს საფუძველი აღნიშნულ სფეროში არსებული საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიყვანის და სამართალდამცავი ორგანოების გადასამზადებლად კომპიუტერულ დანაშაულთან უფრო ეფექტურად ბრძოლისათვის. ყოველივე ეს კი რა თქმა უნდა დადებითად აისახება ინფორმაციის სფეროში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაზე.

რომან ჯახიაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ასისტენტ-პროფესორი

კრიმინოლოგიური ხედვები კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში

რეზიუმე

მოცემულ სტატიაში ავტორი ზოგად დახასიათებას აძლევს კომპიუტერულ დანაშაულობას, ასაბუთებს მის მომეტებულ საშიშროებას დღევანდელი საზოგადოებისათვის და განმარტავს კრიმინოლოგიის როლს ინფორმაციის სფეროში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში.

Роман Джахиашвили

Криминологические аспекты борьбы с компьютерной преступностью

Резюме

В данной статье автор в общих чертах описывает компьютерную преступность, объясняет его особую опасность для современного общества и разъясняет роль криминологии в налаживании общественных отношений в сфере информации.

Roman Jakhiashvili

Criminological aspects of the fight against computer-crime

Summary

In the article the author outlines a computer crime, explains its special danger for modern society and the role of criminology in the establishment of social relations in the sphere of information.

მრგვალი მაგიდის "კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში" დასკვნითი რეკომენდაციები

- კრიმინოლოგიის სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პრაქტიკაში გამოყენების ერთიანი პოლიტიკისა და კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის წინაპირობების მომზადება;
- კრიმინოლოგიის სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პრაქტიკაში გამოყენების ერთიანი კონცეფციისა და კრიმინოლოგიური ტერმინების სრულყოფის მიზნით ერთიანი ტერმინოლოგიის შემმუშავებელი საკორდინაციო საბჭოს შექმნა;
- სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ ,"კრიმინოლოგთან" ექსპერტთა საბჭოს დაარსება;
- კრიმინოლოგთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შემუშავება და სწავლების უზრუნველყოფა;
- სასურველია ჩამოყალიბდეს დანაშაულობის შემსწავლელი სახელმწიფო სტრუქტურა-კრიმინოლოგიური ინსპექცია ან სააგენტო საშუამავლო მაკორდინებელი ფუნქციით სამართალდამცავი და სოციალური დაცვის სტრუქტურებსა და საზოგადოებას შორის;
- უმაღლეს სასწავლებლებში კრიმინოლოგიის სწავლების ეფექტურობის ამაღლების მიზნით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება.

Заключительные рекомендации круглого стола «Криминология в развитии общества»

- Подготовка условий для создания единой политики и концепции обучения, научно-исследовательской работы и практической деятельности в области криминологии;
- Создание координационного совета по разработке единой терминологии с целью усовершенствования криминологических терминов и единой концепции обучения, научно-исследовательской работы и практической деятельности в области криминологии;
- Создание совета экспертов при журнале «Криминолог»;
- Создание и обеспечение обучения по программе подготовки, переподготовки и повышения квалификации криминологов;
- Желательно создание государственной структуры по изучению преступности — криминологической инспекции или агентства с посредническо-координационной функцией между правоохранительными органами, органами соцобеспечения и обществом;
- Проведение научно-исследовательских проектов с целью повышения эффективности обучения криминологии в вузах.

Concluding recommendations of the roundtable "Criminology in the Development of Society”

- Preparation of conditions for establishing a single policy and concept of teaching, research and practice in the field of criminology;
- Create a coordinating council to develop a common terminology, in order to improve criminological language, and single concept of learning, research and practice in the field of criminology;
- Establish a board of experts at the journal "Criminology";
- Establish and maintain a training and retraining program for the preparation of criminologists;
- It is desirable to create state structure for the study of crime - Forensics inspection or agency with mediation and coordination role between law enforcement, social services and society;
- Conduct research projects to improve the effectiveness of teaching criminology in universities.

ჩვენი მილოცვები

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის წევრს, ჩვენი ჟურნალის რამოდენიმე პუბლიკაციის ავტორს აკაკი ჩალათაშვილს ვულოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე ჩარიცხვას. ვუსურვებთ წარმატებებს სწავლაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

ჟურნალის ექსპერტთა საბჭოს წევრს, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სამართალმცოდნეობისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯემალ გახოკიძეს ვულოცავთ 60 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, თავდაცვის, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა პროფესიონალიზმის ამაღლების, სამსახურეობრივ საქმიანობაში გამოყენებული სპორტული სახეობების აღორძინებისა და განვითარების მიზნით დაფუძნდა საქართველოს სამსახურეობრივი-გამოყენებითი სპორტის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტია ჩვენი ჟურნალის მთავარი რედაქტორი მალხაზ ბაძაღუა. ვუსურვებთ, ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმიანობაში წარმატებებს.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია

Наши поздравления

Мы поздравляем члена центра изучения и прогнозирования преступности, автора нескольких публикаций нашего журнала Акаки Чалаташвили с зачислением на юридический факультет Тбилисского Государственного Университета имени Иване Джавахишвили. Мы желаем ему успехов в учебе, общественной и личной жизни.

Мы поздравляем члена экспертного совета журнала, генерал-лейтенанта в отставке, руководителя департамента права, гуманитарно-технического факультета технического университета Грузии, доктора политических и юридических наук, профессора Джемала Гахокидзе с 60 юбилеем, желаем ему здоровья и успехов в общественной и личной жизни.

27 августа текущего года, для укрепления безопасности и обороноспособности страны, повышения профессионализма работников правоохранительных и специальных служб, возрождения и развития использующихся в профессиональной деятельности видов спорта была учреждена федерация служебно-прикладного спорта, президентом которой является главный редактор нашего журнала Малхаз Бадзагуа. Мы желаем ему успехов в этой чрезвычайно важной государственной деятельности

Редакционный совет

Our Congratulations

We congratulate, the member of the Center of Study and Prediction of Crime, the author of several publications in our journal - Akaki Chalatashvili - with admission to the Faculty of Law at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. We wish him success in education and in public and private life.

We congratulate, the member of the expert council of the journal, Lieutenant-General in retire, head of Law Department at Humanities and Technology Department of the Technical University of Georgia, Doctor of Political and Legal Sciences, Professor Jemal Gakhokidze with the 60th anniversary and wish him good health and success in public and private life.

On Aug. 27 this year, to strengthen security and national defense, improve the professionalism of law enforcement and special services, for revival and development of on-duty applied sports, was established the Federation of Applied Sports, whose president is the chief editor of the journal, Malkhaz Badzagua. We wish him success in this crucial state activity.

Editorial council

2009 წლის 12 თვეში — სულ რესპუბლიკაში
(მხარის, ქალაქის, რაიონის დასახელება)

რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა — 2009 12 თვე

რიგითი №№	დანაშაულის სახეობა	2008 წლის 12 თვე: სულ რეგისტრირებულია	2008 წლის 12 თვე: მათ შორის: გახსნილია	2008 წლის 12 თვე: მათ შორის: გახსნის პროცენტი	2009 წლის 12 თვე: სულ რეგისტრირებულია	2009 წლის 12 თვე: მათ შორის: გახსნილია	2009 წლის 12 თვე: მათ შორის: გახსნის პროცენტი	მატება + - კლება	% პროცენტი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1.	**დანაშაულობათა საერთო რაოდენობა**	**44644**	**20934**	**46.9**	**35949**	**17659**	**49.1**	**- 8695**	**19.5**
2.	*მათ შორის* მძიმე	13028	6328	48.6	11093	6087	54.9	- 1935	14.9
3.	ტერორიზმი	3		0.0	2	1	50.0	- 1	33.3
4.	ბანდიტიზმი								
5.	განზრახ მკვლელობა	263	132	50.2	205	112	54.6	- 58	22.1
6.	მკვლელობის მცდელობა	390	254	65.1	289	225	77.9	- 101	25.9
7.	ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	200	124	62.0	134	85	63.4	- 66	33.0
8.	*მათ შორის* განსაკუთრებით მძიმე	27	13	48.1	10	4	40.0	- 17	63.0
9.	გაუპატიურება	100	66	66.0	84	51	60.7	- 16	16.0
10.	თავისუფლების უკანონო აღკვეთა	59	44	74.6	37	18	48.6	- 22	37.3
11.	*მათ შორის* ანგარებით	5	2	40.0	9	1	11.1	+ 4	80.0
12.	მძევლად ხელში ჩაგდება	7	3	42.9	27	7	25.9	+ 20	285.7
13.	ქურდობა	14814	3675	24.8	11473	3241	28.2	- 3341	22.6
14.	*მათ შორის* მძიმე	5314	1553	29.2	4044	1314	32.5	- 1270	23.9
15.	*მათ შორის* ბინებიდან	2347	527	22.5	1860	487	26.2	- 487	20.7
16.	*მათ შორის* ავტომობილების	267	61	22.8	154	70	45.5	- 113	42.3
17.	*მათ შორის* პირუტყვის	544	150	27.6	417	172	41.2	- 127	23.3
18.	*მათ შორის* მობილური ტელეფონების	938	183	19.5	449	112	24.9		
19.	ძარცვა	1167	532	45.6	958	429	44.8	- 209	17.9
20.	*მათ შორის* მძიმე	849	401	47.2	702	314	44.7	- 147	17.3
21.	*მათ შორის* ავტომობილების	29	17	58.6	16	13	81.3		
22.	*მათ შორის* მობილური ტელეფონების	89	56	62.9	58	38	65.5		
23.	ყაჩაღობა	1008	479	47.5	700	320	45.7	- 308	30.6
24.	*მათ შორის* განსაკუთრებით მძიმე	859	394	45.9	596	254	42.6	- 263	30.6
25.	*მათ შორის* ავტომანქანის	127	36	28.3	30	17	56.7	- 97	76.4
26.	*მათ შორის* მობილური ტელეფონების	67	36	53.7	28	14	50.0		
27.	თაღლითობა	1844	791	42.9	1791	772	43.1	- 53	2.9
28.	გამოძალვა	111	46	41.4	124	74	59.7	+ 13	11.7
29.	*მათ შორის* მძიმე	41	16	39.0	44	30	68.2	+ 3	7.3
30.	ცეცხლსასროლი იარაღის,საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გასაღება	1261	956	75.8	1155	935	81.0	- 106	8.4
31.	*მათ შორის* მძიმე	34	25	73.5	38	30	78.9	+ 4	11.8
32.	ხულიგნობა	724	551	76.1	524	409	78.1	- 200	27.6
33.	*მათ შორის* მძიმე	255	185	72.5	167	131	78.4	- 88	34.5
34.	ნივთის დაზიანება ან განადგურება	1120	376	33.6	945	315	33.3	- 175	15.6
35.	*მათ შორის* მძიმე	352	27	7.7	135	23	17.0	- 217	61.6
36.	ავტომანქანის დაუფლება								
37.	ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა	3072	849	27.6	2453	948	38.6	- 619	20.1

38.	*მათ*	მძიმე	607	364	60.0	493	332	67.3	- 114	18.8
39.	*შორის*	*მათ შორის* დაზარალებულის სიკვდილი	551	311	56.4	453	296	65.3	- 98	17.8
40.	**არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული**		759			595			- 164	21.6
41.	ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა		8699	8425	96.9	6336	6092	96.1	- 2363	27.2
42.	*მათ შორის*	მძიმე	2103	1992	94.7	2477	2355	95.1	+ 374	17.8
43.		ნარკოტიკების კონტრაბანდა	102	100	98.0	100	96	96.0	- 2	2.0
44.		ნარკოტიკების რეალიზაცია	79	73	92.4	131	115	87.8	+ 52	65.8
45.		ნარკოტიკების შემ. მცენარ. უკანონო დათესვა	70	69	98.6	113	112	99.1	+ 43	61.4
46.	დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ		274	84	30.7	301	90	29.9	+ 27	9.9
47.	*მათ შორის*	ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა	254	77	30.3	276	82	29.7	+ 22	
48.	სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება		145	29	20.0	136	49	36.0	- 9	6.2
49.	სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება		130	20	15.4	117	13	11.1	- 13	10.0
50.	მექრთამეობა		50	30	60.0	106	89	84.0	+ 56	112.0
51.	*მათ შორის*	მძიმე	37	20	54.1	63	48	76.2	+ 26	
52.	სამსახურებრივი სიყალბე		43	8	18.6	32	11	34.4	- 11	25.6
53.	სამსახურებრივი გულგრილობა		108	22	20.4	108	36	33.3	სტაბილური	
54.	მითვისება ან გაფლანგვა		237	72	30.4	301	103	34.2	+ 64	27.0
55.	*მათ შორის*	მძიმე	124	62	50.0	158	85	53.8	+ 34	27.4
56.	ფალსიფიკაცია		17	9	52.9	33	21	63.6	+ 16	94.1
57.	*მათ შორის*	მძიმე	2	2	100				- 2	100.0
58.	აქციზური მარკის გარეშე საქონლის გამოშვება შენახვა, რეალიზაცია, გადაზიდვა		21	18	85.7	16	12	75.0	- 5	23.8
59.	*მათ შორის*	მძიმე	11	10	90.9	4	4	100	- 7	63.6
60.	ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის დამზადება, გასაღება		68	14	20.6	97	22	22.7	+ 29	42.6
61.	*მათ შორის*	მძიმე	66	12	18.2	91	18	19.8	+ 25	37.9
62.	საბაჟო წესის დარღვევა		31	17	54.8	58	36	62.1	+ 27	87.1
63.	*მათ შორის*	მძიმე	13	10	76.9	32	24	75.0	+ 19	146.2
64.	გადასახადისათვის თავის არიდება		38	2	5.3	133	15	11.3	+ 95	250.0
65.	სასამართლოს უპატივცემულობა					1	1	100	+ 1	
66.	მტკიცებულების განადგურება		4	3	75.0				- 4	100.0
67.	დანაშაულის დაფარვა		39	34	87.2	30	28	93.3	- 9	23.1
68.	**დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ**		643	424	65.9	238	179	75.2	- 405	63.0
69.	*მათ შორის*	დეზერტირობა	82	32	39.0	4	4	100	- 78	95.1
70.	**სხვა დანარჩენი**		7954	2845	35.8	7005	2920	41.7	- 949	11.9

დამნაშავეთა ძებნა		2008 *წლის* 12 *თვე*	2009 *წლის* 12 *თვე*	+ *მატება* / - *კლება*	*პროცენტი*
	იძებნებოდა	*6088*	*5469*	*-619*	*10.2*
	დაიძებნა	*2316*	*1855*	*-461*	*19.9*
	ძებნის შედეგი %	*38.0*	*33.9*	*-4.1*	